

განმარტებითი ბარათი

საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტზე

„საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს (მსესხებელი) შორის

(სოციალური კეთილდღეობის პროგრამა) საკრედიტო შეთანხმების დადების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ინფორმაცია პროექტის შესახებ

„საფრანგეთის განვითარების სააგენტოსთან (AFD) სოციალური კეთილდღეობის პროგრამასთან დაკავშირებით კონსულტაციების დაწყების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს N1737 განკარგულების შესაბამისად, საქართველომ დაიწყო კონსულტაციები საფრანგეთის განვითარების სააგენტოსთან (AFD). აღნიშნული კონსულტაციებისას AFD-ს მხრიდან გამოიკვეთა შესაძლებლობა სოციალური სფეროს სამწლიანი პროგრამის დაფინანსების საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი რეფორმების მხარდაჭერის მიზნით. აღნიშნულის ფარგლებში, საქართველოსათვის 2018 წელს გამოყოფილ იქნა სესხი, 35 მილიონი ევროს ოდენობით, რომელიც ჩაირიცხა გასული წლის იანვარში. 2019 წელს, გამოყოფილ იქნა სესხი, 35 მილიონი ევროს ოდენობით, რომელიც ჩაირიცხა გასული წლის დეკემბერში. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, გათვალისწინებულია მესამე ტრანშის ჩარიცხვა, 70 მილიონი ევროს ოდენობით, რაც ასევე დამოკიდებულია პროგრამის ფარგლებში არსებული მატრიცის 2020 წლისთვის განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებაზე და წარმოადგენს ბიუჯეტის მხარდამჭერ სესხს, რომელიც პირდაპირ მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში.

აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს (მსესხებელი) შორის უნდა გაფორმდეს საკრედიტო შეთანხმება (სოციალური კეთილდღეობის პროგრამა).

რაც შეეხება სესხის ფინანსურ პირობებს, სესხისთვის AFD-ს მიერ შემოთავაზებული ფინანსური პირობებია:

- სესხის მოცულობა: 70 მილიონი ევრო;
- სესხის ხანგრძლივობა: 20 წელი, მათ შორის შეღავათიანი პერიოდი 6 წელი;
- საპროცენტო განაკვეთი: ფიქსირებული (0.66%), ცვლადი (6 თვიან EURIBOR-ს + 0.6%);
- ადმინისტრირების გადასახდელი: 0.5% (ერთჯერადი გადასახდელი, ერიცხება სესხის მთლიან მოცულობას, სესხის თანხიდან გადახდა არ ხდება);
- ვალდებულების გადასახდელი: წლიური 0.5% (ერიცხება სესხის აუთვისებელ ნაწილს).

შემოთავაზებული სასესიო პირობების ანალიზის საფუძველზე და პორტფელის საპროცენტო განაკვეთის რისკის შემცირების მიზნით შერჩეული იქნა ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ოფცია. საბოლოოდ, აღნიშნული სესხისთვის შერჩეულ იქნა შემდეგი ფინანსური პირობები:

სესხის ოდენობა: 70 მილიონი ევრო;

სესხის ვადიანობა: 20 წელი, მათ შორის შეღავათიანი პერიოდი 6 წელი;

საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული (დაზუსტდება ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს);

ადმინისტრირების გადასახდელი: სესხის ოდენობის 0.5% (ერთჯერადი გადასახდელი, ერიცხება სესხის მთლიან მოცულობას, სესხის თანხიდან გადახდა არ ხდება);

ვალდებულების გადასახდელი: 0.5% (ერიცხება სესხის აუთვისებელ ნაწილს).

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტის მომზადებისას არ არის გამოყენებული ევროკავშირის სამართლებრივი აქტი.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

უშუალოდ განკარგულების პროექტის მიღება სახელმწიფოსთვის არ გამოიწვევს ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოშობას, ხოლო განკარგულებით გათვალისწინებული საკრედიტო შეთანხმების ძალაში შესვლა იქონიებს გავლენას ბიუჯეტის როგორც შემოსავლით, ასევე ხარჯვით ნაწილზე.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

განკარგულების პროექტის მიღების შემდეგ საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა და საქართველოს შორის გაფორმდება სახრედიტო შეთანხმება.

პროექტის განხორციელების ვადები

განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დაწყება დაგეგმილია განკარგულების ამოქმედების შემდეგ, დონორის მზაობის გათვალისწინებით.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

საქართველოს მთავრობის

განკარგულება N

2020 წლის

ქ. თბილისი

საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს (მსესხებელი)
შორის

(სოციალური კეთილდღეობის პროგრამა) საკრედიტო შეთანხმების დადების
მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 2² პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რომ საქართველოს სახელით დადოს საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს (მსესხებელი) შორის (სოციალური კეთილდღეობის პროგრამა) საკრედიტო შეთანხმება, შემდეგი ფინანსური პირობებით:

სესხის მოცულობა:	70 მილიონი ევრო
სესხის ხანგრძლივობა:	20 წელი
შელავათიანი პერიოდი:	6 წელი
სესხის საპროცენტო განაკვეთი:	ფიქსირებული (დაზუსტდება ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს);
ადმინისტრირების გადასახდელი:	სესხის თანხის 0.5% (ერთჯერადი გადასახდელი, ერიცხება სესხის მთლიან მოცულობას, სესხის თანხიდან გადახდა არ ხდება)
ვალდებულების გადასახდელი:	0.5% (ერიცხება სესხის აუთვისებელ ნაწილს)

პრემიერ-მინისტრი

გიორგი გახარია

საკრედიტო შეთანხმება

დათარიღებული

2020 წელი

საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა

გამსესხებელი

და

საქართველოს შორის

მსესხებელი

სარჩევი

1. განმარტებები და ინტერპრეტაცია.....	5
1.1 განმარტებები.....	5
1.2 ინტერპრეტაცია.....	6
2. რესურსის გამოყოფა, მიზანი და უტილიზაციის პირობები.....	6
2.1 რესურსის გამოყოფა.....	6
2.2 მიზანი	6
2.3 ვალდებულებების არქონა	6
2.4 პირობების პრეცედენტი	6
3. რესურსის ჩამორიცხვა.....	6
3.1 თანხის ჩამორიცხვა.....	6
3.2 ჩარიცხვის მოთხოვნა	7
3.3 გადახდის დასრულება	7
3.4 გადახდის მექანიზმი.....	7
4. პროცენტი	7
4.1 საპროცენტო განაკვეთი	7
4.2 პროცენტის კალკულაცია და გადახდა	9
4.3 დაგვიანებული გადახდა და გადაუხდელი პროცენტი	10
4.4 საპროცენტო განაკვეთის კომუნიკაცია	10
4.5 ეფექტური გლობალური განაკვეთი (TAUX EFFECTIF GLOBAL)	10
5. პროცენტის კალკულაციის ცვლილება.....	11
5.1 საბაზრო დარღვევები.....	11
5.2. საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლება.....	11
6. გადასახდელები	13
6.1 ვალდებულების გადასახდელი	13
6.2 შეფასების გადასახდელი.....	13
7. გადახდა	13
8. წინასწარი გადახდა და გაუქმება	13
8.1 ნებაყოფლობითი წინასწარი გადახდა	13
8.2 სავალდებულო წინასწარი გადახდა.....	14
8.3 გაუქმება მსესხებლის მიერ.....	14
8.4 გაუქმება გამსესხებლის მიერ	15
8.5 შეზღუდვები.....	15
9. გადახდის დამატებითი ვალდებულებები.....	15
9.1 ღირებულება და ხარჯები.....	15
9.2 გაუქმების ანაზღაურება	16

9.3	წინასწარი გადახდის ანაზღაურება	16
9.4	გადასახადები და მოვალეობები	16
9.5	დამატებითი ხარჯები	17
9.6	ვალუტის ანაზღაურება	17
9.7	ვადები	18
10.	წარმომადგენლობები და გარანტიები	18
10.1	ძალაუფლება და უფლებამოსილება	18
10.2	სანდოობა და დაშვებადობა მტკიცებულებებში	18
10.3	სავალდებულო ვალდებულებები	19
10.4	რეგისტრაციის ან საგერბო გადასახადების არ არსებობა	19
10.5	თანხების გადაცემა	19
10.6	სხვა ვალდებულებებთან წინააღმდეგობის არ არსებობა	19
10.7	მარეგულირებელი კანონმდებლობა და აღსრულება	19
10.8	არა გადახდისუუნარობის შემთხვევა	19
10.9	არა დამაზნეველი ინფორმაცია	20
10.10	თანასწორობა	20
10.11	ფულადი სახსრების წყარო, კორუფციის არსებობა, თაღლითობა ან ანტი კორუფციული პრაქტიკა 20	
10.12	არამატერიალური უარყოფითი ეფექტი	20
11.	ვალდებულებები	20
11.1	კანონებთან შესაბამისობა; რეგულაციები და ვალდებულებები	20
11.2	უფლებამოსილებები	20
11.3	პროგრამის განხორციელება და შენარჩუნება	21
11.4	გარემოს დაცვა და სოციალური პასუხისმგებლობა	21
11.5	თანასწორობა	21
11.6	სამონიტორინგო მისიები და შემოწმებები	21
11.7	პროგრამის შეფასება	22
11.8	პროგრამის განხორციელება	22
11.9	თანხების წარმომავლობა, არა კორუფციის აქტი, თაღლითობა ან ანტი კონკურენტული პრაქტიკა	22
12.	ინფორმაცია ვალდებულებებზე	23
12.1	ფინანსური ინფორმაცია	23
12.2	ანგარიში შესრულების შესახებ	23
12.3	პროგრამის განხორციელება	23
12.4	დამატებითი ინფორმაცია	23
13.	ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევა	23
13.1	ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევა	23
13.2	აქსელერაცია	25
13.3	ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევის ცნობა	25
14.	რესურსის ადმინისტრირება	26
14.1	გადახდები	26

14.2	ანაზღაურება.....	26
14.3	სამუშაო დღეები.....	26
14.4	გადახდის ვალუტა.....	26
14.5	დღის დათვლის კონვენცია.....	26
14.6	გადახდის ადგილი.....	26
14.7	გადახდის სისტემის დარღვევა.....	27
15.	სხვადასხვა.....	28
15.1	ენა.....	28
15.2	სერთიფიკატები და განსაზღვრებები.....	28
15.3	ნაწილობრივი ბათილობა.....	28
15.4	უარის თქმის არარსებობა.....	28
15.5	დავალება.....	28
15.6	იურიდიული ეფექტი.....	29
15.7	მთლიანი შეთანხმება.....	29
15.8	ცვლილებები.....	29
15.9	კონფიდენციალობა-ინფორმაციის გამჟღავნება.....	29
15.10	ლიმიტირება.....	29
15.11	პრობლემის არარსებობა.....	29
16.	შეტყობინებები.....	30
16.1	წერილობითი და მისამართები.....	30
16.2	მიწოდება.....	30
16.3	ელექტრონული კომუნიკაცია.....	30
17.	მარეგულირებელი კანონი, აღსრულება და იურიდიული მისამართის შერჩევა გადახდებისთვის	31
17.1	მარეგულირებელი კანონი.....	31
17.2	არბიტრაჟი.....	31
17.3	პროცესის მომსახურება.....	32
18.	ხანგრძლივობა.....	32
	განრიგი 1ა - განმარტებები.....	34
	განრიგი 1ბ - ინტერპრეტაცია.....	42
	განრიგი 2 - პროგრამის აღწერა.....	43
	განრიგი 3 - პოლიტიკის საორიენტაციო მატრიცა.....	45
	განრიგი 4 - წინაპირობები.....	53
	განრიგი 5ა - რესურსის ჩამორიცხვის ფორმა.....	55
	განრიგი 5ბ - ჩამორიცხვის და განაკვეთის დადასტურების ფორმა.....	57
	განრიგი 5გ - კონვენსიის მოთხოვნის ფორმა.....	59
	განრიგი 5დ - კონვენსიის დადასტურების ფორმა.....	60

განრიგი 6 - ინფორმაცია, რომელიც შეძლება გამოქვეყნებულ იყოს საფრანგეთის მთავრობის ვებ-გვერდზე და კრედიტორის ვებ-გვერდზე	61
განრიგი 6-1 გადარიცხვის ინფორმაციის შეტყობინება.....	62

საკრედიტო შეთანხმება

- ა) საქართველოსა-წარმოდგენილი ივანე მაჭავარიანის მიერ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის რანგში, რომელიც არის სათანადოდ უფლებამოსილი ხელი მოაწეროს ამ შეთანხმებას.

(„საქართველო“ ან „მსესხებელი“)

და

- ბ) საფრანგეთის განვითარების სააგენტოს შორის, საფრანგეთის საჯარო პირი, რომელიც რეგულირდება საფრანგეთის კანონმდებლობის მიერ, დარეგისტრირებული რუ როლანდ ბარტეს N5, 75598 პარიზი, კოდექსი 12, საფრანგეთი, დარეგისტრირებულია პარიზის ვაჭრობისა და კომპანიების რეგისტრატურაში 775 665 599 ნომრით, წარმოდგენილი გაელე ასაიაგით, საფრანგეთის განვითარების სააგენტოს დირექტორი სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რომელიც არის სათანადოდ უფლებამოსილი ხელი მოაწეროს ამ შეთანხმებას.

(„AFD“ ან „გამსესხებელი“)

(შემდგომში ერთობლივად მოხსენებული იქნება როგორც „მხარეები“ ან თითოეული როგორც „მხარე“)

ვინაიდან:

- ა) მსესხებელი აპირებს გააუმჯობესოს მისი სოციალური კეთილდღეობის სისტემა სპეციალური ღონისძიებების გატარებით, რომელიც განსაზღვრულია პოლიტიკის მატრიცაში („პროგრამა“), რომელიც აღწერილია უფრო ვრცლად განრიგი 2-ში (პროგრამის აღწერა) და განრიგი 3-ში (საორიენტაციო პოლიტიკის მატრიცა).
- ბ) მსესხებელმა მოითხოვა, რომ გამსესხებელმა რესურსი გახადოს ხელმისაწვდომი პროგრამის დაფინანსების მიზნით.
- გ) 2020 წლის 7 მაისის დირექტორთა საბჭოს N C20XXXX რეზოლუციის მიხედვით, გამსესხებელი დათანხმდა რესურსი გახდეს ხელმისაწვდომი მსესხებლისთვის ამ შეთანხმების ვადებისა და პირობების მიხედვით.

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. განმარტებები და ინტერპრეტაცია

1.1 განმარტებები

კაპიტალიზებულ სიტყვებსა და გამონათქვამებს (მათ შორის რომელიც მოცემულია დოკუმენტის შესავალში და განრიგებში) ექნება მნიშვნელობა როგორც მოცემულია განრიგში 1a (განმარტებები), გარდა ამ შეთანხმებაში სხვაგვარად მოცემულისა.

1.2 ინტერპრეტაცია

სიტყვები და გამონათქვამები, რომელიც გამოყენებულია ამ შეთანხმებაში, განსაზღვრულ იქნება განრიგი 1ბ-ს (ინტერპრეტაცია) მიხედვით, თუ პირიქით განზრახვა არ ჩანს.

2. **რესურსის გამოყოფა, მიზანი და უტილიზაციის პირობები**

2.1 რესურსის გამოყოფა

ამ შეთანხმების პირობიდან გამომდინარე, გამსესხებელი მსესხებლისთვის ხელმისაწვდომს ხდის რესურსს ჯამურად მაქსიმუმ სამოცდაათი მილიონი ევროს (70 000 000 ევრო) ფარგლებში.

2.2 მიზანი

რესურსის გამოყოფის მიზანია დააფინანსოს მსესხებლის ბიუჯეტი, რომელიც აპირებს განახორციელოს პროგრამა, როგორც ეს აღწერილის მე-2 განრიგში (პროგრამის აღწერა) და პოლიტიკის მატრიცის მიხედვით, რომელიც აღწერილია მე-3 განრიგში (საორიენტაციო პოლიტიკის მატრიცა).

2.3 ვალდებულებების არქონა

გამსესხებელი არ იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერი მოცულობის თანხის გამოყენებაზე, რომელიც არ არის ამ შეთანხმების დებულებების შესაბამისი.

2.4 პირობების პრეცედენტი

ა) არაუგვიანეს ხელმოწერის დღისა, მსესხებელი მიაწვდის გამსესხებელს ყველა დოკუმენტს, რომელიც მოცემულია განრიგი 4-ის პირველ ნაწილში (პირობების პრეცედენტი).

ბ) რესურსის გამოთხოვა შესაძლოა არ იქნეს მიწოდებული გამსესხებლისთვის თუ:

- i) გამსესხებელი არ მიიღებს ყველა დოკუმენტს, რომელიც მოცემულია მე-4 განრიგის მე-2 ნაწილში (პირობების პრეცედენტი) და არ შეატყობინებს მსესხებელს რომ ასეთი დოკუმენტები არის დამაკმაყოფილებელ ფორმასა და მდგომარეობაში.
- ii) რესურსის გამოთხოვის დღეს და რესურსის ჩამორიცხვის შემოთავაზებულ დღეს, საგადასახადო სისტემის დარღვევის არ არსებობის შემთხვევაში და პირობები, რომელიც წარმოდგენილია წინამდებარე შეთანხმებაში შესრულებულია, მათ შორის:
 1. ვალდებულების შეუსრულებლობის არ არსებობის შემთხვევა გრძელდება ან იქნებოდა შედეგი შემოთავაზებული ჩამორიცხვის.
 2. რესურსის გამოთხოვა მოხდა 3.2 მუხლის (რესურსის გამოთხოვა) პირობების მიხედვით;
 3. ყველა გამოხატულება მოცემული მსესხებლის მიერ მე-10 მუხლთან (წარმომადგენლები და გარანტიები) დაკავშირებით არის სიმართლე.

3. **რესურსის ჩამორიცხვა**

3.1 თანხის ჩამორიცხვა

რესურსი მსესხებლისთვის ხელმისაწვდომი იქნება ხელმისაწვდომობის პერიოდის განმავლობაში, ერთი (1) ჩამორიცხვით.

შემოთავაზებული ჩარიცხვის მოცულობა იქნება სამოცდაათი მილიონი ევრო (70 000 000 ევრო).

3.2 ჩარიცხვის მოთხოვნა

თუ პირობები, რომელიც ასახულია 2.4(ბ) მუხლში (პირობების პრეცედენტი) არის დამაკმაყოფილებელი, მსესხებელმა შესაძლოა ჩამორიცხოს რესურსი გამსესხებლისთვის სათანადოდ დასრულებული ჩარიცხვის მოთხოვნის მიწოდების შედეგად. ჩარიცხვის მოთხოვნა მიწოდებულ იქნება მსესხებლის მიერ AFD-ის ცენტრალური ოფისის აზიის დეპარტამენტის დირექტორისთვის, როგორც მოცემულია მუხლში 16.1 (წერილობითი და მისამართები);

ჩარიცხვის მოთხოვნა შეუქცევადია და განიხილება როგორც სათანადოდ დასრულებული, თუ:

- ა) ჩარიცხვის მოთხოვნა არის ძირითადად ფორმა, რომელიც მოცემულია 5ა განრიგში (რესურსის ჩამორიცხვის ფორმა);
- ბ) ჩარიცხვის მოთხოვნა მიღებულია გამსესხებლის მიერ ჩარიცხვის საბოლოო თარიღამდე არაუმეტეს თხუთმეტი (15) სამუშაო დღისა;
- გ) შემოთავაზებული ჩარიცხვის დღე არის სამუშაო დღე ხელმისაწვდომობის პერიოდის ფარგლებში;
- დ) ჩარიცხვის მოცულობა შეესაბამება 3.1 მუხლს (ჩარიცხვის მოცულობა) და
- ე) ყველა დოკუმენტი, რომელიც ასახულია მე-4 განრიგის მე-2 ნაწილში (პირობების პრეცედენტი) ჩამორიცხვის მიზნით მიმაგრებულია ჩარიცხვის მოთხოვნას, შეესაბამება ზემოთხსენებულ განრიგს და 3.4 მუხლის მოთხოვნებს (გადახდის მექანიზმი) და არის გამსესხებლისთვის დამაკმაყოფილებელ ფორმასა და მდგომარეობაში.

3.3 გადახდის დასრულება

14.7 მუხლის (გადახდის სისტემის ჩაშლა) მიხედვით, თუ ყველა პირობა, რომელიც მოცემულია მიმდინარე შეთანხმების მუხლში 2.4(ბ) (პირობების პრეცედენტი) დაემთხვა, გამსესხებელი გააკეთებს ჩარიცხვის გამოთხოვას მსესხებლისთვის არაუგვიანეს ჩარიცხვის დღეს.

გამსესხებელი მიაწვდის მსესხებელს ჩარიცხვის დადასტურების წერილს ძირითადი ფორმით, რომელიც მოცემულია 5ბ განრიგში (ჩამორიცხვის და განაკვეთის დადასტურების ფორმა).

3.4 გადახდის მექანიზმი

ჩარიცხვის შემოსავალი გადახდილი იქნება მსესხებლის ანგარიშზე ან სხვა ნებისმიერ ანგარიშზე, რომლის დეტალები იქნება სათანადოდ შეტყობინებული მსესხებლის მიერ გამსესხებლისადმი.

4. **პროცენტი**

4.1 საპროცენტო განაკვეთი

4.1.1 საპროცენტო განაკვეთის შერჩევა

მსესხებელს ჩამორიცხვისთვის შეუძლია შეარჩიოს ფიქსირებული ან ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს იმ მოცულობას, რაც მოცემულია შესაბამისი ჩამორიცხვის მოთხოვნაში, შერჩეული საპროცენტო განაკვეთის მიხედვით ე.ი. ჩამორიცხვის მოთხოვნაში ფიქსირებული ან ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, მიწოდებულია გამსესხებლისთვის იმ ფორმით, რომელიც მოცემულია განრიგში 5ა (რესურსის ჩამორიცხვის ფორმა), შემდეგი პირობებით:

- i) ცვლადი საპროცენტო განაკვეთი

მსესხებელს შეუძლია აირჩიოს ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც იქნება საპროცენტო განაკვეთი წელიწადში ერთხელ, რომელიც იქნება აგრეგირებული შემდეგისა:

- 6 თვიანი EURIBOR; ან, როგორც ეს შეიძლება იყოს, ჩანაცვლების მაჩვენებელი (Replacement Benchmark), დამატებით ნებისმიერი რეგულირების მარჟა (Adjustment Margin), როგორც ეს განსაზღვრულია შეთანხმების მე-5 (პროცენტის კალკულაციის ცვლილება) მუხლის დებულებების შესაბამისად.
- მარჟა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი ჩამორიცხვის შემთხვევაში, თუ პირველი საპროცენტო განაკვეთის პერიოდი ნაკლებია ასოცდათხუთმეტ (135) დღეზე, EURIBOR იქნება:

- ერთთვიანი EURIBOR, ან, როგორც ეს შეიძლება იყოს, ჩანაცვლების მაჩვენებელი (Replacement Benchmark), დამატებით ნებისმიერი რეგულირების მარჟა (Adjustment Margin), როგორც ეს განსაზღვრულია შეთანხმების მე-5 (პროცენტის კალკულაციის ცვლილება) მუხლის დებულებების შესაბამისად, თუ პირველი საპროცენტო განაკვეთის პერიოდი ნაკლებია სამოც (60) დღეზე; ან
- სამთვიანი EURIBOR, ან, როგორც ეს შეიძლება იყოს, ჩანაცვლების მაჩვენებელი (Replacement Benchmark), დამატებით ნებისმიერი რეგულირების მარჟა (Adjustment Margin), როგორც ეს განსაზღვრულია შეთანხმების მე-5 (პროცენტის კალკულაციის ცვლილება) მუხლის დებულებების შესაბამისად, თუ საპროცენტო განაკვეთის პერიოდი არის სამოც (60) დღესა და ასოცდათხუთმეტ (135) დღეს შორის.

ii) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი

მსესხებელმა შეიძლება შეარჩიოს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, რომელიც იქნება ფიქსირებული განაკვეთი გაზრდილი ან შემცირებული ინდექსაციის განაკვეთის ფლუქტუაციის მიერ ხელმოწერის დღიდან შესაბამის დაფიქსირების დღემდე.

მსესხებელს შეუძლია განსაზღვროს ჩამორიცხვის მოთხოვნაში მაქსიმალური ოდენობა ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთისთვის. თუ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, რომელიც დათვლილია განაკვეთის დადგენის დღისთვის აჭარბებს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალურ ოდენობას, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი ჩამორიცხვის მოთხოვნაში, ჩამორიცხვის ასეთი მოთხოვნა გაუქმდება და ჩამორიცხვის ოდენობა აისახება ჩამორიცხვის გაუქმებულ მოთხოვნაში, რომელიც იქნება დარიცხული ხელმისაწვდომ კრედიტზე.

4.1.2 მინიმალური საპროცენტო განაკვეთი

საპროცენტო განაკვეთი, რომელიც განსაზღვრულია 4.1.1 მუხლის მიხედვით (საპროცენტო განაკვეთის შერჩევა) არ იქნება წელიწადში 0.25 პროცენტზე ნაკლები, საპროცენტო განაკვეთის ნებისმიერი კლების მიუხედავად.

4.1.3 კონვერსია ცვლადი საპროცენტო განაკვეთიდან ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე

ცვლადი საპროცენტო განაკვეთი ჩამორიცხვის შესაბამისად დაკონვერტირდება ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთად შემდეგი პირობების მიხედვით:

i) განაკვეთის კონვერსია მსესხებლის მოთხოვნის საფუძველზე.

მსესხებელმა შესაძლოა მოითხოვოს ნებისმიერ დროს, რომ გამსესხებელმა გააკეთოს ჩამორიცხვის კონვერსია ცვლადი საპროცენტო განაკვეთიდან ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

ამ მიზნით, მსესხებელი აგზავნის გამსესხებელთან განაკვეთის კონვერსიის მოთხოვნას ძირითადი ფორმით, რომელიც მოცემულია 5გ განრიგში (კონვერსიის მოთხოვნის ფორმა) მსესხებელი მიუთითებს განაკვეთის კონვერსიის წერილში ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალურ მოცულობას. იმ შემთხვევაში თუ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრული მსესხებლის მიერ, ისე როგორც დათვლილია განაკვეთის დაფიქსირების დღეს, აჭარბებს ფიქსირებული განაკვეთის მაქსიმალურ მოცულობას, რომელიც მითითებულია მსესხებლის მიერ განაკვეთის კონვერსიის თხოვნაში, ასეთი განაკვეთის კონვერსიის მოთხოვნა ავტომატურად გაუქმდება.

ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი ეფექტური იქნება განაკვეთის დაფიქსირებიდან ორი (2) სამუშაო დღის შემდეგ.

ii) განაკვეთის კონვერსიის მექანიზმი

ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, რომელიც შეესაბამება ჩამორიცხვას განისაზღვრება მუხლით 4.1.1 (ii) (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი) განაკვეთის დაფიქსირების დღე, რომელიც განსაზღვრულია ქვეპუნქტში (i).

გამსესხებელი გააგზავნის მსესხებელთან წერილს რეალურად განაკვეთის კონვერსიის თანხმობაზე იმ ფორმით, რომელიც მოცემულია 5დ განრიგში (კონვერსიის დადასტურების ფორმა)

განაკვეთის კონვერსია საბოლოოა და არ ექვემდებარება გადახდას.

4.2 პროცენტის კალკულაცია და გადახდა

მსესხებელი გადაიხდის დარიცხულ პროცენტს ჩარიცხვაზე სათითაო გადახდის დღეს.

პროცენტის მოცულობა, რომელსაც იხდის მსესხებელი გადახდის შესაბამის დღეს და შესაბამისი საპროცენტო პერიოდისთვის გაუთანაბრდება ჯამს ნებისმიერი მსესხებელი სმიერ გადასახდელი პროცენტისა, ძირითადი ნაშთის თანხაზე ჩამორიცხვასთან დაკავშირებით. მსესხებლის მიერ გადასახდელი პროცენტი რესურსის ჩამორიცხვასთან დაკავშირებით დაითვლება შემდეგის საფუძველზე:

- i) მსესხებლის მიერ შესაბამისი ძირითადი თანხის ნაშთის გადახდის ვალდებულების გათვალისწინებით, დაუყოვნებლივ გადახდის დღეს, ან პირველი საპროცენტო პერიოდის შემთხვევაში ჩამორიცხვის შესაბამისი თარიღისთვის;
- ii) დღეების ზუსტი რაოდენობა, რომელიც ერიცხება შესაბამისი საპროცენტო პერიოდის განმავლობაში წელიწადში სამას სამოცი (360) დღის არსებობის საფუძველზე; და
- iii) საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია მუხლი 4.1-ის მიხედვით (საპროცენტო განაკვეთი)

4.3 დაგვიანებული გადახდა და გადაუხდელო პროცენტი

- ა) დაგვიანებული გადახდა და გადაუხდელო პროცენტი ყველა გადასახდელ ოდენობაზე და გადაუხდელოზე (პროცენტის გარდა)

თუ მსესხებელი ვერ მოახერხებს მის მიერ გადასახდელი ნებისმიერი თანხის გადახდას გამსესხებლისთვის ამ შეთანხმების ფარგლებში (იქნება ეს ძირითადი თანხის გადახდა, წინასწარი გადახდის ანაზღაურება, ნებისმიერი თანხა ან ნებისმიერი სახის გამოწვევის გაუთვალისწინებელი ხარჯი ნებისმიერი გადაუხდელო ვადაგადაცილებული პროცენტისთვის) მისი გადახდის ვადის დღეს, პროცენტი დაერიცხება ვადაგადაცილებულ თანხაზე კანონით დაშვებული ნორმით, გადახდის ვადიდან ფაქტიური გადახდის თარიღამდე (საარბიტრაჟო გადაწყვეტილებამდე და მის მერეც, ასეთის არსებობის შემთხვევაში) იმ საპროცენტო განაკვეთით, რომელიც შეესაბამება მიმდინარე საპროცენტო პერიოდს (გადაუხდელო პროცენტი), გაზრდილი 3.5%-ით (პროცენტის დაგვიანებული გადახდა). გამსესხებლისგან წინასწარი ფორმალური შეტყობინება აუცილებელი არ იქნება.

- ბ) დაგვიანებული გადახდა და პროცენტის გადაუხდელობა გადაუხდელო გადაცილებულ პროცენტზე

პროცენტი, რომელიც არ იქნება გადახდილი ვადის შესაბამისად კანონით დაშვებული ნორმით დაეკისრება პროცენტი იმ საპროცენტო განაკვეთით, რომელიც შეესაბამება მიმდინარე საპროცენტო პერიოდს (გადაუხდელო პროცენტი), გაზრდილი 3.5%-ით (პროცენტის დაგვიანებული გადახდა), რამდენადაც მსგავსი პროცენტი ვადადამდგარი და გადახდილი იქნება სულ მცირე ერთი წლის განმავლობაში. გამსესხებლისგან წინასწარი ფორმალური შეტყობინება აუცილებელი არ იქნება.

მსესხებელი გადაიხდის ნებისმიერ დარჩენილ პროცენტს მუხლი 4.3-ის მიხედვით (დაგვიანებული გადახდა და გადაუხდელო პროცენტი) დაუყოვნებლივ, გამსესხებლის მოთხოვნის საფუძველზე ან თითოეულ გადახდის დღეს ნაშთის გადახდის ვადის მიხედვით.

- გ) გამსესხებლის მიერ პროცენტის დაგვიანებით გადახდამ ან გადაუხდელობამ არ უნდა იქონიოს გავლენა მსესხებლისათვის არც გადახდის ვადის გაგრძელების მინიჭების მხრივ და არც მსესხებლის მიერ გამსესხებლის ნებისმიერი უფლების უარყოფაზე.

4.4 საპროცენტო განაკვეთის კომუნიკაცია

გამსესხებელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს თითოეული საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრება, რომელიც დაკავშირებულია ამ შეთანხმებასთან.

4.5 ეფექტური გლობალური განაკვეთი (Taux Effectif Global)

იმისთვის რომ შესრულდეს საფრანგეთის მომხმარებელთა კოდექსის მუხლი L. 313-1, L.313-2, და R.313-1, და საფრანგეთის მონეტარული და ფინანსური კოდექსის მუხლი L. 313-4, გამსესხებელი აცნობებს მსესხებელს და მსესხებელი დაეთანხმება, რომ ეფექტურობის გლობალური განაკვეთი რესურსის შესაბამისად შესაძლოა შეფასდეს წლიური ---%-იანი განაკვეთით, წელიწადში 365 დღის საფუძველზე და 6 თვიანი საპროცენტი პერიოდით, ექვემდებარება შემდეგს:

- ა) ზემოთ მოხსენიებული განაკვეთები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციის მიზნით;
- ბ) ზემოთ მოხსენიებული განაკვეთები დათვლილია შემდეგის საფუძველზე:
- i) რესურსი სრულად ჩამორიცხულია ხელმოწერის დღეს;

- ii) თუ მსესხებლისთვის ხელმისაწვდომი არ არის ჩამორიცხვის თანხა, მაშინ დაეკისრება პროცენტი ცვლად განაკვეთზე; და
 - iii) ფიქსირებული განაკვეთი რესურსის ხანგრძლივობაზე იქნება %-ს ტოლი.
- გ) ზემოთ მოხსენიებული განაკვეთები ითვალისწინებს მსესხებლის მიერ გადახდილ საკომისიოებს და ხარჯებს ამ შეთანხმების ფარგლებში, რაც ნიშნავს, რომ ეს საკომისიოები და ხარჯები დარჩება ფიქსირებული და გავრცელდება ამ შეთანხმების მოქმედების ვადის გასვლამდე.

5. პროცენტის კალკულაციის ცვლილება

5.1 საბაზრო დარღვევები

ა) თუ საბაზრო დარღვევის შემთხვევა იმოქმედებს შიდა საბანკო ბაზარზე ევროზონაში და შეუძლებელია

- i) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, განსაზღვრო ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, რაც მოქმედებს ჩამორიცხვის პერიოდში, ან
- ii) ცვლადი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, განსაზღვრო EURIBOR, რაც მოქმედებს შესაბამისი საპროცენტო პერიოდისთვის,

გამსესხებელი აცნობებს მსესხებელს.

ბ) „ა“ პარაგრაფში აღწერილ შედეგის დადგომის შემთხვევაში, შესაბამისი საპროცენტო განაკვეთი, როგორც ეს შეიძლება იყოს, შესაბამისი ჩამორიცხვისათვის, შესაბამისი საპროცენტო პერიოდის ფარგლებში იქნება ჯამი:

- i) მარჯისა; და
- ii) კრედიტის დაფინანსების დაფარვის ხარჯების შესაბამისი წლიური საპროცენტო განაკვეთისა, ნებისმიერი წყაროდან, რომელიც შეიძლება გონივრულად შეირჩეს. ეს განაკვეთი მსესხებელს უნდა ეცნობოს რაც შეიძლება მალე და, ნებისმიერ შემთხვევაში, (1) პირველი გადახდის თარიღამდე, ამ ჩამორიცხვის პერიოდის ფარგლებში, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთისათვის ან (2) გადახდის თარიღამდე შესაბამისი საპროცენტო პერიოდის ფარგლებში ცვლადი საპროცენტო განაკვეთისთვის.

5.2. საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლება

5.2.1 განმარტებები:

„შესაბამისი წარმდგენი ორგანო“ ნიშნავს ნებისმიერი ცენტრალური ბანკის, მარეგულირებლის, ხელმძღვანელის და სამუშაო ჯგუფის ან კომიტეტის მიერ დაფინანსებულ ან მათ მიერ მართულ ან რომელიმე მათგანის თხოვნით წარმოდგენილ ორგანოს.

"საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების შემთხვევა" ნიშნავს შემდეგ რომელიმე შემთხვევას ან რიგ შემთხვევებს:

- (ა) საპროცენტო განაკვეთის განმარტება, მისი განსაზღვრის მეთოდოლოგია, ფორმულა ან საშუალებები მნიშვნელოვნად შეიცვალა;
- (ბ) ამოქმედდა კანონი ან დებულება, რომელიც კრძალავს საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას, ეჭვის თავიდან აცილების მიზნით იგი ზუსტდება, რომ ეს მოვლენა არ წარმოადგენს სავალდებულო წინასწარი გადახდის შემთხვევას;

(გ) საპროცენტო განაკვეთის ადმინისტრატორი ან მისი ზედამხედველი საჯაროდ აცხადებს რომ:

1. მან შეწყვიტა ან შეწყვეტს საპროცენტო განაკვეთის წარმოდგენას მუდმივად ან განუსაზღვრელი ვადით, და იმ დროით, რომ არცერთმა საჯაროდ დასახელებულმა მემკვიდრე ადმინისტრატორმა არ გააგრძელოს ამ საპროცენტო განაკვეთის წარმოდგენა.
2. რომ საპროცენტო განაკვეთის გამოქვეყნება შეწყდა ან შეწყდება მუდმივად ან განუსაზღვრელი ვადით;
3. საპროცენტო განაკვეთი აღარ გამოიყენება (ახლა ან მომავალში);

(დ) გაკეთებულია საჯარო განცხადება ამ საპროცენტო განაკვეთის ადმინისტრატორის გაკოტრების შესახებ ან მის მიმართ რაიმე გადახდისუუნარობის შესახებ, და ამ დროს, არცერთი მემკვიდრე ადმინისტრატორი არ დასახელებულა საჯაროდ რომ გაეგრძელებინა ამ საპროცენტო განაკვეთის წარმოდგენა; ან

(ე) გამსესხებლის აზრით, საპროცენტო განაკვეთის გამოყენება შეწყვეტილია რიგ ფინანსურ ტრანზაქციებში.

„საპროცენტო განაკვეთი“ ნიშნავს EURIBOR-ს ან აღნიშნული განაკვეთის ჩანაცვლების მაჩვენებლით შეცვლის შედეგად, ჩანაცვლების მაჩვენებელს.

"საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების თარიღი" ნიშნავს:

- საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების შემთხვევის ზემოაღნიშნული განმარტების ა), დ) და ე) პუნქტებში მითითებული შემთხვევების გათვალისწინებით, თარიღს როცა გამსესხებელს აქვს ინფორმაცია მსგავსი შემთხვევის შესახებ, და
- საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების შემთხვევის ზემოაღნიშნული განმარტების ბ) და გ) პუნქტებში მითითებული შემთხვევების გათვალისწინებით, თარიღი რომლის შემდეგაც აკრძალულია საპროცენტო განაკვეთის გამოყენება ან თარიღი, როცა საპროცენტო განაკვეთის ადმინისტრატორი მუდმივად ან განუსაზღვრელი ვადით შეწყვეტს საპროცენტო განაკვეთის წარმოდგენას ან თარიღი რომლის შემდეგაც საპროცენტო განაკვეთი აღარ გამოიყენება.

5.2.2 თითოეული მხარე ცნობს და ეთანხმება მეორე მხარის სასარგებლოდ, რომ თუკი ადგილი ექნება საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლებას და ამ შეთანხმების ეკონომიკური ბალანსის შესანარჩუნებლად, გამსესხებელს შეუძლია შეცვალოს საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებელი სხვა განაკვეთით ("ჩანაცვლების მაჩვენებელი") რომელიც შეიძლება შეიცავდეს რეგულირების მარჯას, რათა თავიდან იქნას აცილებული მხარეებს შორის ეკონომიკური ღირებულების გადაცემა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ("რეგულირების მარჯა") და გამსესხებელი განსაზღვრავს თარიღს, თუ როდიდან შეცვლის ჩანაცვლების მაჩვენებელს და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რეგულირების მარჯა ჩანაცვლებს საპროცენტო განაკვეთს და შეთანხმებაში სხვა ცვლილებებს, რომლებიც საჭიროა საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების მაჩვენებელით

5.2.3 ჩანაცვლების მაჩვენებლის განსაზღვრა და საჭირო ცვლილებები გაკეთდება კეთილსინდისიერად და (i) ნებისმიერი შესაბამისი წარმდგენი ორგანოს რეკომენდაციების, ან (ii) საპროცენტო განაკვეთის ადმინისტრატორის რეკომენდაციების, ან (iii) საბანკო სექტორში პროფესიონალი ასოციაციების მიერ რეკომენდებული ინდუსტრიული გადაწყვეტილების ან, (iv) ჩანაცვლების თარიღში რიგ დაფინანსების ტრანზაქციებში არსებული საბანკო პრაქტიკის გათვალისწინებით.

5.2.4 საპროცენტო განაკვეთის შეცვლის შემთხვევაში, გამსესხებელი დაუყოვნებლივ აცნობებს მსესხებელს შეცვლის წესებისა და პირობების შესახებ, რომ შეცვალოს საპროცენტო განაკვეთი

ჩანაცვლების მაჩვენებლით, რაც მოქმედებს საპროცენტო განაკვეთის პერიოდებისთვის, რომელიც იწყება საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების თარიღიდან მინიმუმ ორი სამუშაო დღის შემდეგ.

5.2.5 5.2 მუხლის (საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლება) დებულებები უპირატესია 5.1 მუხლის დებულებებზე (საბაზრო დარღვევები).

6. გადასახდელები

6.1 ვალდებულების გადასახდელი

2020 წლის 1 სექტემბრიდან, მსესხებელი უხდის გამსესხებელს ვალდებულების გადასახდელს წელიწადში 0.5%-ს.

ვალდებულების გადასახდელი გამოითვლება ზემოთ განსაზღვრული განაკვეთით ხელმისაწვდომი კრედიტის თანხის ოდენობაზე იმ გასული დღეების ფაქტიური რაოდენობისთვის, რომელიც გაზრდილია ჩამორიცხული თანხის რაოდენობით, რათა გამსესხებლის მიერ ხელმისაწვდომი გახდეს ნებისმიერი დაგვიანებული ჩამორიცხვის მოთხოვნის შესაბამისად.

პირველი ვალდებულების გადასახდელი გამოიანგარიშება პერიოდისთვის i) 2020 წლის 1 სექტემბრიდან (მოიცავს) ii) მომდევნო დაუყოვნებლივ გადახდის დღემდე (მოიცავს). შემდგომი ვალდებულების გადასახდელი გამოიანგარიშება პერიოდისთვის დაწყებული იმ დღიდან, რომელიც დაუყოვნებლივ მოყვება გადახდის დღეს (მოიცავს) და სრულდება მომდევნო გადახდის დღეს (მოიცავს).

დარიცხული ვალდებულების გადასახდელი გადაიხდება i) ყოველ გადახდის დღეს ხელმისაწვდომი პერიოდის ფარგლებში; ii) გადახდის დღეს ჩამორიცხვის პერიოდის ბოლო დღის მომდევნო დღეს; და iii) იმ შემთხვევაში, თუ ხელმისაწვდომი კრედიტი სრულად გაუქმებულია გადახდის დღეს, რომელიც მოსდევს ასეთი გაუქმების ეფექტურ დღეს.

6.2 შეფასების გადასახდელი

ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა მსესხებელი გადაუხდის გამსესხებელს შეფასების გადასახდელს 0.5%-ს დათვლილს რესურსის მაქსიმალურ ოდენობაზე.

7. გადახდა

საშელავათო პერიოდის გასვლის შემდეგ, მსესხებელი გადაუხდის გამსესხებელს რესურსის ძირითად თანხას ოცდარვა (28) თანაბარი ნახევარწლიური გადახდით და გადაიხდება ყოველი გადახდის თარიღში.

პირველი გადახდა გადაიხდება 2026 წლის 16 სექტემბერს და ბოლო გადახდა 2040 წლის 16 მარტს.

ჩამორიცხვის პერიოდის ბოლოს, გამსესხებელი მიაწვდის მსესხებელს ამორტიზაციის გრაფიკს გადახდის გათვალისწინებით, თუ მისაღებია, გადახდის ნებისმიერი პოტენციური გაუქმება 8.3-ის (მსესხებლის მიერ გაუქმება) და/ან 8.4 მუხლების მიხედვით (გამსესხებლის მიერ გაუქმება).

8. წინასწარი გადახდა და გაუქმება

8.1 ნებაყოფლობითი წინასწარი გადახდა

მსესხებელს უფლება არ ექნება წინასწარ გადაიხადოს რესურსის მთლიანი ან ნაწილობრივი თანხა ათ (10) წლიანი პერიოდის ვადის გასვლამდე დაწყებული ხელმოწერის დღიდან.

რაც შეეხება წინა პარაგრაფში მითითებულ თარიღს, მსესხებელმა შესაძლოა წინასწარ გადაიხადოს რესურსის მთლიანი ან ნაწილობრივი თანხა, შემდეგი პირობებით:

- ა) მსესხებელმა უნდა აცნობოს გამსესხებელს მისი განზრახვის შესახებ წინასწარ გადახდაზე წერილობით და საბოლოო შეტყობინებით არანაკლებ ოცდაათი სამუშაო დღისა, სავარაუდო მოფიქრებულ წინასწარგადახდის თარიღამდე;
- ბ) თანხა წინასწარ გადაიხდება ერთი ან ორი გადახდ(ებ)ით ძირითად თანხად;
- გ) წინასწარ მოფიქრებული გადახდის დღე იქნება გადახდის დღე.
- დ) ყველა წინასწარი გადახდა განხორციელდება ერთობლივად, დარიცხული პროცენტის გადახდასთან ერთად; ნებისმიერი გადასახდელი, გარანტია და წინასწარი გადახდის თანხასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორც ეს მოცემულია წინამდებარე შეთანხმებაში.
- ე) არ არსებობს თანხის გადაუხდელი ნაშთი; და
- ვ) წინასწარ ნაწილობრივი გადახდის შემთხვევაში, მსესხებელი მიაწვდის გამსესხებლისთვის დამაკმაყოფილებელ მტკიცებულებას, რომელსაც აქვს საკმარისი შეთანხმებული დაფინანსების ხელმისაწვდომობა პროგრამის დაფინანსების მიზნით.

გადახდის დღეს, რომლის დროსაც წინასწარი გადახდა გაკეთებულია, მსესხებელი გადაიხდის წინასწარი გადახდის ანაზღაურების მთლიან ოდენობას და გადაიხდება მუხლი 9.3-ის მიხედვით (წინასწარი გადახდის ანაზღაურება)

8.2 სავალდებულო წინასწარი გადახდა

მსესხებელმა დაუყოვნებლივ წინასწარ უნდა გადაიხადოს რესურსის მთლიანი ან ნაწილობრივი ოდენობა გამსესხებლისგან შეტყობინების მიღებისთანავე, რომელიც აცნობებს მსესხებელს ნებისმიერ შემდეგ ღონისძიებას:

- ა) უკანონობა: შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით გამსესხებლისთვის უკანონო ხდება განახორციელოს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულება ან დაფინანსება ან რესურსის შენარჩუნება;
- ბ) დამატებითი ხარჯი: ნებისმიერი დამატებითი ხარჯის მოცულობა, რომელიც მითითებულია მუხლში 9.5 (დამატებითი ხარჯები) არის მნიშვნელოვანი და მსესხებელი უარს ამბობს გადაიხადოს ასეთი დამატებითი ხარჯები.
- გ) ვალდებულებების შეუსრულებლობა: გამსესხებელი აცხადებს ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევას მუხლი 13-ის მიხედვით (ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევა);

ზემოთ მოხსენიებულ (ა), (ბ), (გ) პარაგრაფებში განსაზღვრული ნებისმიერი შემთხვევის არსებობისას გამსესხებელი იტოვებს უფლებას მსესხებლისთვის წერილობითი შეტყობინების გაკეთების შემდეგ გამოიყენოს მისი კრედიტორული უფლებები 13.2 მუხლის (აქსელერაცია) (ბ) პარაგრაფში განსაზღვრული ფორმით.

8.3 გაუქმება მსესხებლის მიერ

თანხის ჩარმორიცხვის ვადის გასვლამდე მსესხებელს შეუძლია გააუქმოს მთლიანი ან ნაწილობრივი ხელმისაწვდომი კრედიტი გამსესხებლისთვის სამი (3) სამუშაო დღით ადრე შეტყობინების გაგზავნით.

გაუქმების ასეთი შეტყობინების მიღებისთანავე გამსესხებელმა უნდა გააუქმოს თანხის რაოდენობა, რომელიც აცნობა მსესხებელმა.

8.4 გაუქმება გამსესხებლის მიერ

ხელმისაწვდომი კრედიტი დაუყოვნებლივ იქნება გაუქმებული მსესხებლისთვის შეტყობინების მისვლის შემდეგ, რომელიც იქნება დაუყოვნებლივ ეფექტური, თუ:

- ა) ხელმისაწვდომი კრედიტი არ არის ნულის ტოლი ჩამორიცხვის თარიღისთვის;
- ბ) პირველი ჩამორიცხვა არ მომხდარა თოთხმეტ (14) თვიანი ვადის პერიოდში რესურსის დამტკიცებიდან გამსესხებლის კომპეტენტური ორგანოს მიერ, როგორც ეს ნახსენებია აღწერაში ჩამონათვლის პარაგრაფ გ-ში .
- გ) ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევის დადგომისას და გაგრძელებისას; ან
- დ) 8.2 მუხლში (სავალდებულო წინასწარი გადახდა) აღწერილი შემთხვევის დადგომისას;

გარდა 8.4 მუხლის (გაუქმება გამსესხებლის მიერ) ა და ბ პარაგრაფის შემთხვევაში, გამსესხებელმა შესთავაზა გადაწიოს ჩამორიცხვის ვადა ან პირველი ჩამორიცხვისთვის ახალი ფინანსური პირობების საფუძველზე, რომელიც ვრცელდება ყველა ჩამორიცხვაზე ხელმისაწვდომი კრედიტის ფარგლებში და მსესხებელი თანხმდება წინადადებას.

8.5 შეზღუდვები

- ა) წინასწარგადახდის ან გაუქმების ნებისმიერი შეტყობინება, რომელიც მოცემულია მხარის მიერ, მე-8 მუხლის (წინასწარი გადახდა და გაუქმება) მიხედვით იქნება საბოლოო და თუ სხვა რამ არ არის მოცემული მიმდინარე შეთანხმებაში, ნებისმიერი მსგავსი შეტყობინება უნდა აზუსტებდეს თარიღს ან თარიღებს, რომელ თარიღებშიც შესაბამისი წინასწარგადახდა ან გაუქმება უნდა იქნეს შესრულებული და ამ წინასწარგადახდის ან გაუქმების თანხას.
- ბ) მსესხებელი წინასწარ არ გადაიხდის ან გააუქმებს რესურსის მთლიან ან ნაწილობრივ ოდენობას გარდა იმ დროისა და მეთოდისა, რომელიც მოცემულია წინამდებარე შეთანხმებაში.
- გ) ნებისმიერი წინასწარი გადახდა ამ შეთანხმების ფარგლებში გაკეთებული იქნება გადახდასთან ერთად i) დარიცხული პროცენტი წინასწარ გადახდილ ოდენობაზე, ii) ნაშთის გადასახდელი, და iii) წინასწარი გადახდის ანაზღაურება, როგორც განსაზღვრულია ქვემოთ მუხლში 9.3 (წინასწარი გადახდის ანაზღაურება).
- დ) ნებისმიერი წინასწარი გადახდის ოდენობა გამოიყენება დარჩენილი შენატანის წინააღმდეგ დაფარვის ვადის საწინააღმდეგოდ.
- ე) მსესხებელს შეუძლია ხელმეორედ არ ისესხოს სრული ან ნაწილობრივი რესურსი, რომელიც იყო წინასწარ გადახდილი ან გაუქმებული.

9. გადახდის დამატებითი ვალდებულებები

9.1 ღირებულება და ხარჯები

9.1.1 თუ მოითხოვება ამ შეთანხმების ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება, მხარეები შევლენ კონსულტაციაში ათი (10) სამუშაო დღით, იმისთვის რომ შეფასდეს შესაბამისი ხარჯები

(მათ შორის იურიდიული ხარჯები), რომელიც გონივრულად დაეკისრება შეფასების, მოლაპარაკებისა და მოთხოვნების შესრულების შესაბამისად და რომელიც შეიძლება წარმოიშვას მსესხებლის მიერ.

9.1.2 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს ღირებულებასა და ხარჯებს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით, რომელიც გამოწვეულია მიმდინარე შეთანხმების მე-17 მუხლის არბიტრაჟით.

9.2 გაუქმების ანაზღაურება

თუ რესურსი გაუქმდა მთლიანად ან ნაწილობრივ მუხლი 8.3-ის პირობების შესაბამისად (გაუქმება მსესხებლის მიერ) და/ან მუხლი 8.4-ის პარაგრაფი ა, ბ და გ-ს მიხედვით (გაუქმება გამსესხებლის მიერ) მსესხებელი გადაიხდის გაუქმების ანაზღაურებას დათვლილს (2.5%) რესურსის გაუქმებულ ოდენობაზე.

გაუქმების ნებისმიერი ანაზღაურება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გადახდილი გადახდის დღეს, რესურსის მთლიანი ან ნაწილობრივი გაუქმების შემდგომ.

9.3 წინასწარი გადახდის ანაზღაურება

გამსესხებლის ანგარიშზე ნებისმიერი ხარჯის შემთხვევაში, როგორც შედეგი რესურსის მთლიანი ან ნაწილობრივი წინასწარი გადახდის 8.1-ის (ნებაყოფლობითი წინასწარი გადახდა) ან 8.2 მუხლების მიხედვით (იძულებითი წინასწარი გადახდა), მსესხებელი აუნაზღაურებს გამსესხებელს, რომელიც ტოლი იქნება შემდეგი აგრეგირებული ოდენობისა:

- წინასწარ გადახდა კომპენსატორული ანაზღაურებისა; და
- ნებისმიერი ხარჯი, რომელიც წარმოიშვება ნებისმიერი საპროცენტო განაკვეთის ჰეჯირების სვოპ ტრანზაქციების შეწყვეტით გამსესხებლისთვის წინასწარ გადახდილ თანხებთან დაკავშირებით.

9.4 გადასახადები და მოვალეობები

9.4.1 რეგისტრაციის ხარჯები

მსესხებელი გადაიხდის პირდაპირ, ან თუ შესაძლებელია, აუნაზღაურებს გამსესხებელს მის მიერ წინასწარ განსაზღვრულ შემთხვევაში ყველა საგერბო მოსაკრებლის ხარჯს, რეგისტრაციის ხარჯებს, რეგისტრაციისა და სხვა მსგავს გადასახადებს შეთანხმების ფარგლებში და ნებისმიერი პოტენციური ცვლილების ხარჯს.

9.4.2 საშემოსავლო გადასახადი

მსესხებელი თავის თავზე იღებს, რომ წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში განხორციელებული ყველა გადახდა იქნება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებული.

თუ კანონით მოითხოვება საშემოსავლო გადასახადის გადახდა, მსესხებელი იღებს ვალდებულებას დაამატოს ნებისმიერი ასეთი გადახდა, იმ თანხას, რომელსაც გამსესხებელი ტოვებს ამ გადახდის თანაბრად, რომელიც გადასახდელი იქნებოდა, თუ საშემოსავლო გადასახადის გადახდა არ იქნებოდა მოთხოვნილი.

მსესხებელი უზრუნველყოფს გამსესხებელს ყველა ხარჯითა და/ან გადასახადით მსესხებლის ანგარიშისთვის, რომელიც გადახდილია გამსესხებლის მიერ (თუ

შესაძლებელია) საფრანგეთში ნებისმიერი სავალდებულო გადასახადების გამონაკლისებთან ერთად.

9.5 დამატებითი ხარჯები

9.5.1 ამ მუხლში „დამატებითი ხარჯები“ ნიშნავს:

- i) ნებისმიერი ხარჯი, რომელიც წარმოიშვება ხელმოწერის თარიღის შემდეგ 9.5.2 პარაგრაფში განსაზღვრული ერთ-ერთი ღონისძიებებიდან და გამსესხებლის მიერ არ იქნება გათვალისწინებული რესურსის ფინანსური პირობების გაანგარიშებისას; ან
- ii) ნებისმიერი გადასახდელი თანხის ნებისმიერ შემცირებას წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში;

რომელიც არის გამსესხებლის დანაკარგი, როგორც შედეგი i) გახადოს რესურსი ხელმისაწვდომი მსესხებლისთვის ან ii) შეასრულოს თავისი ვალდებულება შეთანხმებიდან გამომდინარე.

9.5.2 თუ გამსესხებელი დააკისრებს ნებისმიერ დამატებით ხარჯს როგორც შედეგს შემდეგიდან:

- i) ნებისმიერი ახალი კანონის ან რეგულაციის ძალაში შესვლა, ან ნებისმიერი ცვლილება ინტერპრეტაციაში ან ნებისმიერი არსებული კანონისა და რეგულაციის აპლიკაციაში; ან ii) გაკეთებულია ხელმოწერის თარიღის შემდეგ ნებისმიერი კანონის ან რეგულაციის შესაბამისად და რაც გულისხმობს მსესხებლისთვის გადახდის მოთხოვნას, გამსესხებელმა უნდა აცნობოს ასეთი მოთხოვნა მსესხებელს („გამსესხებლის შეტყობინება“).

9.5.3 გამსესხებლის შეტყობინების მიხედვით, მსესხებელი და გამსესხებელი შევლენ კონსულტაციაში ათი (10) სამუშაო დღით იმისთვის რომ დაიანგარიშონ შესაბამისი დამატებითი ხარჯები და მიიღონ გადაწყვეტილება გადასახდელზე რამდენად მისაღებია ორივე მხარისთვის. თუ მოითხოვს მსესხებელი, გამსესხებელი მიაწვდის მსესხებელს განმარტებით დოკუმენტს, რომელიც დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან, როგორც ობიექტი გამსესხებლის შეტყობინების. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას კონსულტაციის პერიოდში, მსესხებელი შეატყობინებს გამსესხებელს მის უარს დამატებითი ხარჯების გადახდაზე ოცი (20) სამუშაო დღის განმავლობაში გამსესხებლის შეტყობინების მიღებიდან.

9.6 ვალუტის ანაზღაურება

თუ წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში მსესხებლის მიერ გადასახდელია ნებისმიერი თანხა, ნებისმიერი ბრძანება, სასამართლოს გადაწყვეტილება ან განაჩენი გამოტანილია და აღსრულებულია ამ თანხასთან დაკავშირებით, აღნიშნული თანხა უნდა იყოს დაკონვერტირებული სხვა ვალუტაში იმ ვალუტიდან, რომელშიც გადასახდელია ეს თანხა, შემდეგი მიზნისთვის:

- i) მსესხებლის წინააღმდეგ საჩივრის ან მტკიცების მიღების ან შეტანისთვის; ან
- ii) ნებისმიერი სამართალწარმოებისა ან საარბიტრაჟო პროცედურებთან დაკავშირებული ნებისმიერი დავალების, განაჩენის ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისთვის

გამსესხებლის მოთხოვნიდან სამი (3) სამუშაო დღის განმავლობაში და როგორც კანონით ნებადართულია მსესხებელმა უნდა აუნაზღაუროს გამსესხებელს ნებისმიერი ხარჯი, დანაკარგი ან ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება კონვერსიის შედეგად, მათ შორის ნებისმიერი სხვაობა სავალუტო კურსთა შორის: ა) სავალუტო კურსი რომელიც გამოყენებულია შესაბამისი თანხის დასაკონვერტირებლად პირველი ვალუტიდან მეორე ვალუტაში; და ბ) სავალუტო კურსი ან გამსესხებლისთვის ხელმისაწვდომი კურს(ებ)ი თანხის მიღებისას. მსესხებლის ეს ვალდებულება

დააზღვიოს გამსესხებელი არის დამოუკიდებელი მსესხებლის სხვა ვალდებულებებისგან აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში.

მსესხებელი უარს ამბობს თავის უფლებაზე გადაიხადოს ნებისმიერი თანხა, რომლის უფლებაც შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერი იურისდიქციის ფარგლებში აღნიშნული შეთანხმებიდან გამომდინარე, იმ ვალუტაში ან ვალუტის ერთეულში, რომელშიც გადასახდელია თანხა.

9.7 ვადები

მსესხებლის მიერ გამსესხებლისთვის ნებისმიერი გარანტია ან ანაზღაურება მე-9 მუხლის ფარგლებში (გადახდის დამატებითი ვალდებულებები) არის სავალდებულო და გადასახდელი გადახდის თარიღში დაუყოვნებლივ იმ გარემოებების შემდეგ, რაც შეიძლება წარმოიშვას შესაბამისი უზრუნველყოფის ან ანაზღაურებისას.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ნებისმიერი უზრუნველყოფა, რომელიც გადასახდელია 9.3 მუხლით (წინასწარი გადახდის ანაზღაურება) გათვალისწინებულ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებით, ვადადამდგარი და გადასახდელია შესაბამისი წინასწარგადახდის თარიღში.

10. წარმომადგენლობები და გარანტიები

წინამდებარე მუხლი 10-ის ყველა წარმომადგენლობები და გარანტიები (ყველა წარმომადგენლობები და გარანტიები) გაკეთებული არის მსესხებლის მიერ სესხის გამცემის სასარგებლოდ ხელმოწერის დღეს. წინამდებარე მუხლი 10-ის ყველა წარმომადგენლობები და გარანტიები (ყველა წარმომადგენლობები და გარანტიები) ასევე ითვლება რომ გაკეთებული არის მსესხებელს მიერ იმ დღეს როცა დანართი 4-ის (წინასწარი პირობები) ნაწილი II-ით განსაზღვრული პირობები არის შესრულებული, ყოველი ჩამორიცხვის თხოვნის დღეს, ყოველი ჩამორიცხვის დღეს და ყოველი გადახდის დღეს, გარდა განმეორებითი წარმომადგენლობებისა რომელიც განსაზღვრულ არის მუხლი 10.9 (არა არასწორი ინფორმაცია) ითვლება რომ არის წარსადგენი მსესხებლის მიერ იმ დღის შემდეგ რაც წარმომადგენლობები ბოლოს იქნა მიწოდებული.

10.1 ძალაუფლება და უფლებამოსილება

მსესხებელი უფლებამოსილია გააფორმოს, შეასრულოს და მიაწოდოს წინამდებარე შეთანხმება და შეასრულოს ყველა ხსენებული ვალდებულება. მსესხებელმა გაატარა ყველა აუცილებელი ღონისძიება მიმდინარე შეთანხმების ძალაში შესვლის უფლებამოსილების, შესრულებისა და მიწოდებისთვის.

10.2 სანდოობა და დაშვებადობა მტკიცებულებებში

ყველა უფლებამოსილება საჭიროა:

- ა) რათა მიეცეს საშუალება მსესხებელს კანონიერად შევიდეს და განახორციელოს წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული მისი უფლებები და შეასრულოს ვალდებულებები; და
- ბ) გახადოს წინამდებარე შეთანხმება ხელმისაწვდომი მსესხებლის იურისდიქციის სასამართლოსათვის ან არბიტრაჟის პროცესისათვის როგორც ეს განსაზღვრულია მუხლი 17-ით (მარეგულირებელი კანონი, იძულება და დომიცილის არჩევანი),

მოპოვებულია და ძალაშია, და არ არსებობს ისეთი ვითარება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გაუქმება, არ-განახლება ან მოდიფიკაცია, მთლიანად ან ნაწილობრივ, ასეთი

უფლებამოსილებისა.

10.3 სავალდებულო ვალდებულებები

მსესხებლის მიერ ყველა ობლიგაცია, რომელიც მიღებულ უნდა იქნას ამ შეთანხმების მიხედვით, იცავს ყველა კანონსა და რეგულაციას მსესხებლის იურისდიქციის მიხედვით და არის კანონიერი, მართებული, დამაკავშირებელი და აღსრულებადი, რომელიც არის მოქმედი მათი წერილობითი პირობების შესაბამისად.

10.4 რეგისტრაციის ან საგერბო გადასახადების არ არსებობა

მსესხებლის იურისდიქციის განმსაზღვრელი ინკორპორირებული კანონების შესაბამისად, სავალდებულო არ არის წინამდებარე შეთანხმება იყოს წარდგენილი, ჩაწერილი ან რეგისტრაციაში გატარებული ნებისმიერ სასამართლოში ან სხვა უფლებამოსილ ორგანოში ან ნებისმერი გერბის გამოყენება, რეგისტრაცია ან მსგავსი გადასახადი უნდა იქნეს გადახდილი ან წინამდებარე შეთანხმებასთან დაკავშირებით ან ამ მხრივ ნავარაუდევ ტრანზაქციაზე.

10.5 თანხების გადაცემა

წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე მსესხებლის მიერ სესხის გამცემისათვის გადასახდელ თანხებთან მიმართებაში იქნება ეს სესხის ძირითადი თანხა თუ პროცენტი, გვიან გადახდისვის დარიცხული პროცენტი, წინასწარ გადახდისთვის დარიცხული ჯარიმა, გაუთვალისწინებელი ხარჯები თუ ნებისმიერი სხვა თანხა, არის თავისუფლად კონვერტირებადი და გადაცემადი.

აღნიშნული წარმომადგენლობები რჩება სრულ ძალაში და ეფექტური სესხის გამცემისათვის გადასახდელი თანხის სრულად დაბრუნებამდე. იმ შემთხვევაში თუ თანხის უკან დაბრუნების ვადები გადაწეული არის სესხის გამცემის მიერ, სხვა დამატებითი დადასტურება აღნიშნულ წარმომადგენლობასთან დაკავშირებით არ იქნება საჭირო.

მსესხებელი მოიპოვებს საჭირო რაოდენობის ევროს მისი ვალდებულებების შესაბამისად შესრულებასთან მიმართებაში.

10.6 სხვა ვალდებულებებთან წინააღმდეგობის არ არსებობა

მსესხებლის მიერ განხორციელებული ქმედებები და ძალაში შესვლა, რომელიც ნახსენებია წინამდებარე შეთანხმებაში, არ ეწინააღმდეგება ნებისმიერ შიდასახელმწიფოებრივ და საგარეო კანონმდებლობას ან შესაბამის რეგულაციას, მის კანონშესაბამის დოკუმენტებს (ან ნებისმიერ სხვა დოკუმენტს) ან მსესხებლისთვის სავალდებულო ნებისმიერი შეთანხმებასა და ინსტრუმენტს ან გავლენას ახდენდეს მის ნებისმიერ აქტივზე.

10.7 მარეგულირებელი კანონმდებლობა და აღსრულება

- ა) მსესხებლის იურისდიქციაში ამ შეთანხმებისთვის საფრანგეთის კანონმდებლობის არჩევა აღიარებული და ძალაში შესული იქნება სასამართლოებისა და საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ.
- ბ) სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება მიღებული მიმდინარე შეთანხმებასთან დაკავშირებით საფრანგეთის სასამართლოში ან საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება აღიარებული და ძალაში შესული იქნება მსესხებლის იურისდიქციაში.

10.8 არა გადახდისუუნარობის შემთხვევა

არანაირი გადახდისუუნარობის შემთხვევა არ მიმდინარეობს ან შესაძლოა, მოხდეს.

მსესხებლის მიერ არ მიმდინარეობის დარღვევით მის აქტივებზე ზეგავლენის ან ნებისმიერ მისთვის სავალდებულო სხვა შეთანხმებასთან დაკავშირებით, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს არსებითად უარყოფითი ეფექტი.

10.9 არა დამაბნეველი ინფორმაცია

მსესხებლის მიერ გამსესხებლისთვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია და დოკუმენტი იყო მართალი, ზუსტი და განახლებული იმ თარიღისთვის, როდესაც ისინი იქნა მიწოდებული, ან იმ თარიღისთვის, როდესაც ისინი უნდა იქნეს მიწოდებული და არ მომხდარა მათი ცვლილება, გაუქმება, წაშლა ან განახლება, და არ წარმოადგენს მცდარს მატერიალური თვალსაზრისით, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს გამოტოვების, ახალი ვითარების შემთხვევის ან ნებისმიერი ინფორმაციის გამოვლენის ან არგამოვლენის შედეგად.

10.10 თანასწორობა

წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული მსესხებლის გადახდის ვალდებულებები იქნება სულ მცირე თანასწორი მის სხვა არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ გადახდის ვალდებულებებთან.

10.11 ფულადი სახსრების წყარო, კორუფციის არსებობა, თაღლითობა ან ანტი კორუფციული პრაქტიკა

მსესხებელი აცხადებს და იღებს ვალდებულებას, რომ:

- i) პროექტის განხორციელებისათვის გამოყენებული სახსრები, გარდა სახემწიფოს მიერ მოწოდებულისა, არ არის არაკანონიერი წარმომავლობის;
- ii) პროგრამას არ გამოუწვევია კორუფციის აქტი, გაყალბება ან ანტიკონკურენტული პრაქტიკა.

10.12 არამატერიალური უარყოფითი ეფექტი

მსესხებელი წარმოადგენს და იძლევა გარანტიას რომ არ ჰქონია ადგილი ან არ მოხდება ისეთი შემთხვევა ან მოვლენა, რომელსაც აქვს არსებითად უარყოფითი ეფექტი.

11. ვალდებულებები

წინამდებარე მუხლი 11-ის ვალდებულებები (ვალდებულებები) ეფექტურია ხელმოწერის დღიდან და ძალაში რჩება და ეფექტურია სრულად ამ შეთანხმების ფარგლებში გადაუხდელი თანხების პერიოდში.

11.1 კანონებთან შესაბამისობა; რეგულაციები და ვალდებულებები

მსესხებელი უნდა დაემორჩილოს:

- ა) ყველა კანონსა და რეგულაციას, რომელთაც ის და/ან პროგრამა ექვემდებარება, განსაკუთრებით თუ ის უკავშირდება ყველა შესაბამის შესყიდვას, გარემოს დაცვას, უსაფრთხოებას და შრომის კანონს; და
- ბ) შეთანხმებით გათვალისწინებულ მის ყველა ვალდებულებას.

11.2 უფლებამოსილებები

მსესხებელი დაყოვნების გარეშე მოიპოვებს, დაცვით და გააკეთებს ყველაფერს რათა იყოს ძალაში და ეფექტური ნებისმიერი უფლებამოსილება საჭირო ნებისმიერი შესაბამისი კანონითა ან რეგულაციით რათა შეასრულოს ამ შეთანხმებით მისი ვალდებულებები და უზრუნველყოს მისი მტკიცებულების კანონიერება, სინამდვილე, განხორციელებადობა და დაშვებულობა.

11.3 პროგრამის განხორციელება და შენარჩუნება

მსესხებელმა უნდა:

- (i) განახორციელოს ეს პროგრამა საყოველთაოდ შეთანხმებული უსაფრთხოების საფუძვლების და ძალაში შესული ტექნიკური სტანდარტების მიხედვით; და
- (ii) შეინარჩუნოს პროგრამის აქტივები კარგ საოპერაციო და საექსპლუატაციო მდგომარეობაში ყველა შესაბამისი კანონისა და რეგულაციის მიხედვით, და გამოიყენოს ასეთი აქტივები თავიანთი დანიშნულების მიხედვით ყველა კანონისა და რეგულაციის შესაბამისად.

11.4 გარემოს დაცვა და სოციალური პასუხისმგებლობა

11.4.1 გარემოს დაცვისა და სოციალური ღონისძიებების განხორციელება

მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ აუცილებელია ხელი შეუწყონ საერთაშორისოდ აღიარებული გარემოს დაცვის და შრომის სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ფუნდამენტურ კონვენციებს და გარემოს დაცვის საერთაშორისო კანონებს და რეგულაციებს, რომელიც მოცემულია მსესხებლის იურისდიქციაში.

11.4.2 გარემოს და სოციალური დაცვის მართვა

- (ა) მსესხებელი (i) ადასტურებს რომ მიიღო ES საჩივრის მართვის პროცედურების ასლი და აღიარებს მის პირობებს, განსაკუთრებით იმ ქმედებებს, რომლებიც შესაძლოა განხორციელებული იქნას გამსესხებლის მიერ იმ შემთხვევაში თუ მესამე პირი შეიტანს საჩივარს, და (ii) აღიარებს რომ ES საჩივრის მართვის პროცედურებს აქვს, მსესხებელსა და გამსესხებელს შორის, იგივე დამაკავშირებელი ეფექტი, როგორც ამ შეთანხმებას.
- (ბ) მსესხებელი სიტყვიერად ანიჭებს უფლებას გამსესხებელს, რომ გაუმხილოს ექსპერტებს (როგორც ეს მოცემულია ES საჩივრის მართვის პროცედურებში) და მხარეებს, რომლებიც ჩართულნი არიან შესაბამისობის აუდიტში და/ან დაცვის გადაწყვეტის პროცედურაში, პროგრამის დოკუმენტები, რომლებიც ეხება გარემოს დაცვის და საზოგადოებრივ საკითხებს, რომლების საჭიროა გარემოს დაცვის და საზოგადოებრივი საჩივრის (როგორც ეს მოცემულია ES საჩივრის მართვის პროცედურებში) დასამუშავებლად.

11.5 თანასწორობა

მსესხებელი თავის თავზე იღებს (i) უზრუნველყოს რომ წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული მისი გადახდის ვალდებულებები ყოველთვის იქნება სულ მცირე თანასწორი მის სხვა არსებულ და მომავალ არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ გადახდის ვალდებულებებთან; (ii) არ მიანიჭოს უპირატესობა ან მისცეს გარანტია ნებისმიერ სხვა სესხის გამცემს იმ გამოწვევით რომ იგივე უპირატესობა ან გარანტია არ არის მინიჭებული მსესხებლის მიერ სესხის გამცემის სასარგებლოდ, თუ აღნიშნული მოთხოვნილი იქნება სესხის გამცემის მიერ.

11.6 სამონიტორინგო მისიები და შემოწმებები

11.6.1 მსესხებელი ამით უფლებამოსილებას ანიჭებს სესხის გამცემს და მის წარმომადგენლებს განახორციელონ სამონიტორინგო მისიები, რომლის მიზანიც არის პროგრამის განხორციელების შეფასება ტექნიკურ, ფინანსურ და ინსტიტუციონალურ ჭრილში.

მსესხებელი ითანამშრომლებს და სესხის გამცემს და მის წარმომადგენლებს აღმოუჩენს ყველა გონივრულ დახმარებას და მიაწოდებს ინფორმაციას როცა განხორციელებული იქნება ასეთი

შემოწმებები; დრო და ფორმატი განსაზღვრული იქნება სესხის გამცემის მიერ მსესხებელთან კონსულტაციის შემდეგ.

11.6.2 თუ მნიშვნელოვანი პრობლემა წამოიჭრა პროგრამის განხორციელებისას და გამსესხებელი მოითხოვს დამატებით შემოწმებას სტანდარტული მონიტორული მისიების გარდა, გამსესხებელი აცნობებს ასეთ მოთხოვნას მსესხებელს („გამსესხებლის შემოწმების შეტყობინება“)

11.6.3 გამსესხებლის შემოწმების შეტყობინების მიხედვით, მსესხებელი განსაზღვრავს დროსა და ფორმატს ასეთი შემოწმებისა, რომელიც მოყვება მსესხებელთან კონსულტაციას. ასეთი საკონსულტაციო პერიოდი არ აჭარბებს ოც (20) სამუშაო დღეს. მსესხებელი ითანამშრომლებს და დაეხმარება და მიაწვდის ინფორმაციას გამსესხებელს და მის წარმომადგენლებს, როდესაც დაიწყება ასეთი შემოწმება და აუნაზღაურებს გამსესხებლის მიერ გონივრულად გაწეულ ყველა ხარჯს სესხის გამცემის მიერ წელიწადში ერთხელ აღნიშნული შემოწმების შედეგად წარმოქმნილს.

11.6.4 მსესხებელი შეინახავს და ხელმისაწვდომს გახდის სესხის გამცემისათვის ყველა დოკუმენტს პროგრამის ხარჯებთან დაკავშირებულს ბოლო ჩამორიცხვიდან ათი (10) წლის განმავლობაში.

11.7 პროგრამის შეფასება

მსესხებელი აღიარებს რომ სესხის გამცემი თავად, ან უზრუნველყოფს რომ მისი სახელით მესამე მხარე განახორციელებს პროგრამის შეფასებას. აღნიშნული შეფასება გამოყენებული იქნება შესრულების ანგარიშის შექმნისათვის პროგრამის ინფორმაციის ჩათვლით, როგორიც არის: მთლიანი ღირებულება და განხორციელების პერიოდი, პროგრამის მიზნები, პროგრამის მოსალოდნელი და რეალური შესრულება, მისი შესაბამისობის, ეფექტურობის, გავლენის და სიცოცხლის უნარობის/ მდგრადობის შეფასება. მსესხებელი თანახმაა აღნიშნული შეფასების გამოქვეყნების განსაკუთრებით სესხის გამცემის ვებ გვერდზე.

11.8 პროგრამის განხორციელება

მსესხებელი:

- (i) უზრუნველყოფს რომ პროგრამის განხორციელებაში მონაწილე ნებისმიერი პირი, ჯგუფი ან უწყება არ ფიგურირებს არცერთ ფინანსური სანქციების სიაში (მათ შორის განსაკუთრებით ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლასთან მიმართებაში); და
- (ii) არ დააფინანსოს ნებისმიერი მოწოდება ან სექტორი რომელიც არის გართიანებული ერების, ევროკავშირის ან საფრანგეთის მიერ ემბარგო დადებული.

11.9 თანხების წარმომავლობა, არა კორუფციის აქტი, თაღლითობა ან ანტი კონკურენტული პრაქტიკა

მსესხებელი თავის თავზე იღებს:

- i) უზრუნველყოს რომ პროექტის განხორციელებისათვის გამოყენებული სახსრები დამატებით სახელმწიფოს სახსრებისა, არ იქნება არაკანონიერი წარმომავლობის;
- ii) უზრუნველყოს რომ პროგრამა არ წარმოქმნის ნებისმიერ კორუფციის აქტს, თაღლითობას ან ანტი კონკურენტულ პრაქტიკას;
- iii) როგორც კი მისთვის გახდება ცნობილი, ან დაეჭვდება ნებისმიერ კორუფციის აქტის, თაღლითობის ან ანტი კონკურენტული პრაქტიკის თაობაზე, დაუყოვნებლივ აცნობოს სესხის გამცემს;
- iv) ზემო პარაგრაფ (iii)-ში აღნიშნული მოვლენის შემთხვევაში, ან თუ სესხის გამცემის თხოვნის საფუძველზე იმ შემთხვევაში თუ სესხის გამცემი აღკვეთს ქმედებებს ან პრაქტიკებს პარაგრაფ (iii)-ში აღნიშნულის, განახორციელებს ყოველივე საჭირო ქმედებას

რათა გამოასწოროს სიტუაცია სესხის გამცემისათვის მისაღები ფორმით და სესხის გამცემის მიერ განსაზღვრულ პერიოდში; და

- v) დაყოვნების გარეშე შეატყობინოს სესხის გამცემს თუ იცის ნებისმიერი ინფორმაცია რომელიც წინ უძღვის პროგრამის განხორციელებისათვის ნებისმიერი უკანონო წარმომავლობის თანხების გამოყენების აღკვეთას.

12. ინფორმაცია ვალდებულებებზე

წინამდებარე მუხლი 12-ის ვალდებულებები (შეტყობინების ვალდებულებები) ეფექტურია ხელმოწერის დღიდან და ძალაში რჩება და ეფექტურია სრულად ამ შეთანხმების ფარგლებში გადაუხდელი თანხების პერიოდში.

12.1 ფინანსური ინფორმაცია

მსესხებელი მიაწოდებს სესხის გამცემს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელსაც სესხის გამცემი ჩათვლის გონივრულად საჭიროს, მსესხებლის საგარეო და საშინაო სესხთან და ასევე გარანტირებული სესხების სტატუსთან დაკავშირებით.

12.2 ანგარიში შესრულების შესახებ

- ა) პროგრამის ტექნიკურად დასრულებამდე (მოსალოდნელი თარიღია 2020 წლის 31 დეკემბერი) მსესხებელი მიაწვდის გამსესხებელს ნახევარწლიურად ტექნიკური პროგრესის რეპორტს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით (ღონისძიებების დასრულება რომელიც მოცემულია პოლიტიკის მატრიცაში) და პროგრამის ინდიკატორების შემაჯამებელი რეპორტი.
- ბ) პროგრამის ტექნიკური დასრულებიდან სამი (3) თვის განმავლობაში მსესხებელი მიაწოდებს გამსესხებელს მთავარ პროგრეს რეპორტს.

12.3 პროგრამის განხორციელება

მსესხებელი, სესხის გამცემის თხოვნისთანავე, მიაწოდებს სესხის გამცემს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით ნებისმიერ ინფორმაციას ან მხარდამჭერ დოკუმენტაციას.

12.4 დამატებითი ინფორმაცია

მსესხებელი სესხის გამცემს მიაწოდებს:

- ა) დაუყოვნებლივ, როგორც კი გახდება ცნობილი აღნიშნულის შესახებ, დეტალებს ნებისმიერი მოვლენის ან გარემოების შესახებ, რომელიც არის ან შესაძლოა იყოს დეფოლტის მოვლენა ან, რომელსაც აქვს ან შესაძლოა ქონდეს მატერიალური გავლენის ეფექტი, აღნიშნული მოვლენის ბუნება და ყველა განხორციელებული ან დაგეგმილი ქმედების რომელიც აღმოფხვრის მას (თუ ასეთი არის);
- ბ) დაუყოვნებლივ დეტალები ნებისმიერი გადაწყვეტილების ან მოვლენის, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს პროგრამის ორგანიზებაზე, დასრულებას ან ოპერირებაზე;

13. ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევა

13.1 ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევა

მუხლში 13.1 (ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევა) განსაზღვრული თითოეული შემთხვევა ან გარემოებები არის ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევა.

- ა) **ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევის გადახდა**

მსესხებელი არ გადაიხდის დადგენილი თარიღისთვის ნებისმიერი რაოდენობის გადასახდელ თანხას ამ შეთანხმების ფარგლებში, შეთანხმებით მოთხოვნილი წესით.

თუმცა, ზიანის გარეშე 4.3 მუხლის (დაგვიანებული გადახდა და გადაუხდელი პროცენტი) შესაბამისად ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევა არ მოხდება ა პარაგრაფის ფარგლებში თუ ასეთი გადახდა მთლიანად არის შესრულებული მსესხებლის მიერ ხუთი (5) სამუშაო დღის განმავლობაში დათქმული თარიღისთვის.

ბ) პასუხისმგებლობა და ვალდებულებები

მსესხებელი არ ასრულებს ნებისმიერ პირობას, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე ნებისმიერ ვალდებულებებს, რომელებიც მოცემულია 11 (ვალდებულებები) და 12 მუხლების(ინფორმაცია ვალდებულებებზე) შესაბამისად.

11.4 (გარემო და სოციალური პასუხისმგებლობა), 11.8 (პროგრამის განხორციელება) და 11.9 (თანხების წარმომავლობა, არაკორუფციის აქტი, თაღლითობა ან ანტი კორუფციული პრაქტიკა) მუხლების შესაბამისად ვალდებულებების შესანარჩუნებლად, რომლებთა მიმართაც არ არის დაშვებული საშეღავათო პერიოდი, ამ (ბ) პარაგრაფის თანახმად ადგილი არ ექნება ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევას თუ შეუსაბამოა არის ანაზღაურებადი და არის ანაზღაურებული ხუთ (5) სამუშაო დღეზე უფრო ადრე ვიდრე (ა) გამსესხებელი აცნობებს მსესხებელს შეუსრულებლობის შესახებ; და (ბ) მსესხებლისთვის ცნობილი გახდება დარღვევა, ან გამსესხებლის მიერ განსაზღვრული შეზღუდული დროის განმავლობაში 11.9 მუხლის (თანხების წარმომავლობა, არაკორუფციის აქტი, თაღლითობა ან ანტი კორუფციული პრაქტიკა) (iv) ქვეპარაგრაფში მოხსენიებული შემთხვევის თანახმად.

გ) არასწორი წარმომადგენლობა

შეთანხმებლის ფარგლებში მსესხებლის მიერ გაკეთებული წარმომადგენლობები ან გარანტიები მათ შორის მე-10 მუხლის (წარმომადგენლობები და გარანტიები) ფარგლებში, ან ნებისმიერი დოკუმენტში წარმოდგენილი მსესხებლის მიერ ან მსესხებლის სახელით ან შეთანხმების ფარგლებში ან მასთან დაკავშირებით, არის არასწორი ან დამაბნეველი როდესაც გაკეთდა ან ჩაითვალა გაკეთებულად.

დ) შეუსრულებელი ვალდებულებების გადაკვეთა

- (i) (ii) პარაგრაფის შესაბამისად, მსესხებლის ნებისმიერი ფინანსური დავალიანება არ არის გადახდილი შესაბამისი თარიღისთვის ან თუ შესაძლებელია, ნებისმიერი მინიჭებული საშეღავათო პერიოდის განმავლობაში შესაბამისი დოკუმენტაციის თანახმად.
- (ii) გამსესხებელმა გააუქმა ან შეაჩერა მსესხებლის ვალდებულება ნებისმიერი ფინანსური დავალიანების შესაბამისად ან გამოაცხადა ფინანსური დავალიანება სავალდებულო და გადასახდელად მის კონკრეტულ ვადამდე, ან მოითხოვა მთლიანი ფინანსური დავალიანების წინასწარი გადახდა, თითოეულ შემთხვევაში ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად ან ნებისმიერი მსგავსი ეფექტის (როგორც აღწერილია) მქონე დებულების შესაბამისად დოკუმენტაციის თანახმად.
- (iii) 13.1 (დ) მუხლის ფარგლებში ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევა არ მოხდება თუ შესაბამისი რაოდენობის ფინანსური დავალიანება ან ფინანსური დავალიანების ფარგლებში (i) და (ii) ზემო აღნიშნული მუხლების შესაბამისად წარმოშობილი ვალდებულებები არის ნაკლები ორმოც მილიონ (40 000 000) ევროზე ან მისი ექვივალენტი ნებისმიერ სხვა ვალუტაში (ებში).

ე) უკანონო

არის ან გახდება უკანონო მსესხებლისთვის, რომ შეასრულოს ნებისმიერი ვალდებულება ამ შეთანხმების ფარგლებში.

ვ) **მატერიალურად საზიანო ცვლილება**

ნებისმიერი შემთხვევა (მათ შორის მსესხებელი ქვეყნის პოლიტიკური ცვლილება) ან ნებისმიერი საზომი, რომელსაც აქვს მატერიალურად საზიანო გავლენა მოხდება ან მოსალოდნელია რომ მოხდეს.

ზ) **უფლებამოსილებები**

ნებისმიერი უფლებამოსილება მსესხებლისთვის მოთხოვნილი იმისათვის, რომ წარმოადგინოს ან შეასრულოს ამ შეთანხმებით აღებული ვალდებულებები ან მოთხოვნილი პროგრამის ჩვეულებრივი კურსი არ არის მიღებული მოთხოვნილ დროის პერიოდში ან გაუქმდა ან ხდება ძალადაკარგული ან სხვა შემთხვევებში ირღვევა სრული ძალით და ეფექტით.

თ) **განაჩენები, ბრძანებები ან მატერიალური ზიანის მქონე სხვა გადაწყვეტილებები**

ნებისმიერი განაჩენი ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ან ნებისმიერი იურიდიული ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილება, რომელსაც აქვს გავლენა მსესხებელზე ან მოსალოდნელია, გამსესხებლის აზრით, რომ ექნება მატერიალურად საზიანო ეფექტი, ხდება ან მოსალოდნელია, რომ მოხდება.

ი) **თავისუფალი კონვერტაციის ან თავისუფალი ტრანსფერის შეჩერება**

შეთანხმების ფარგლებში მსესხებლისთვის სავალდებულო ნებისმიერი რაოდენობის თავისუფალი კონვერტაცია ან თავისუფალი ტრანსფერი ან გამსესხებლის მიერ მსესხებლისადმი უზრუნველყოფილი სხვა ნებისმიერი რესურსი ან ნებისმიერი სხვა მსესხებელი მსესხებელი იურისდიქციის ქვეშ არის შრომისუუნარო.

13.2 აქსელერაცია

ვალდებულებების შეუსრულებლობის ნებისმიერი შემთხვევის დროს გამსესხებელმა შეიძლება წერილობით შეატყობინოს მსესხებელს ნებისმიერი ფორმალური მოთხოვნის უზრუნველყოფის გარეშე ან დაწყებული ნებისმიერი სასამართლო ან დამატებითი სასამართლო პროცედურების გარეშე:

ა) გააუქმოს ხელმისაწვდომი კრედიტი: და/ან

ბ) აცხადებს, რომ მთლიანი ან ნაწილობრივი რესურსების დარიცხულ ან გადასახდელ პროცენტთან ერთად და შეთანხმების ფარგლებში ყველა გადასახდელის რაოდენობა არის იმავდროულად სავალდებულო და გადახდადი.

ზემოთ ხსენებული შეზღუდვების გარეშე 13.1 მუხლით (ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევა) დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევის დროს გამსესხებელი იტოვებს უფლებას მსესხებელს წერილობითი სახით i) შეუჩეროს ან გადაუდოს ჩამორიცხვა რესურსის ფარგლებში; და/ან ii) შეაჩეროს დასრულება ნებისმიერი შეთანხმებასთან დაკავშირებული სხვა ფინანსური შეთავაზებების, რომლებიც გამსესხებელმა აცნობა მსესხებელს; და/ან iii) შეაჩეროს ან გადადოს ნებისმიერი ჩამორიცხვა მსესხებელსა და გამსესხებელს შორის არსებული ნებისმიერი სასესხო შეთანხმების ფარგლებში.

13.3 ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევის ცნობა

12.3 (დამატებითი ინფორმაცია) მუხლის თანახმად, მსესხებელმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს გამსესხებელს ნებისმიერი ისეთი შემთხვევის დადგომის შესახებ, რომელიც არის ან მოსალოდნელია რომ იქნება ვალდებულებების შეუსრულებლობა და გამსესხებელს აცნობოს მის აღმოსაფხვრელად გამოყენებული ყველა საშუალების შესახებ.

14. რესურსის ადმინისტრირება

14.1 გადახდები

შეთანხმების ფარგლებში გამსესხებლის მიერ მიღებული ყველა გადახდა შესაბამისი უნდა იყოს ხარჯების გადახდის, საფასურების, საპროცენტო განაკვეთის, ძირითადი თანხის ან ნებისმიერი სხვა თანხის შეთანხმების ვალდებულების ფარგლებში შემდეგი თანმიმდევრობით:

- 1) შემთხვევითი ხარჯები და დანახარჯები;
- 2) საფასურები;
- 3) დაგვიანებული საპროცენტო გადახდა და დეფოლტის საპროცენტო განაკვეთი;
- 4) დარიცხული საპროცენტო განაკვეთი;
- 5) ძირითადი გადახდები.

მსესხებლისგან მიღებული ნებისმიერი გადახდა პირველად მიმართული უნდა იყოს ნებისმიერი თანხებისადმი სავალდებულო და გადასახდელი რესურსის ფარგლებში ან გამსესხებლის მიერ მსესხებლისადმი სხვა სესხის გასაგრძელებლად, გამსესხებლის ინტერესში უნდა იყოს ასეთი თანხების მიმართვა სხვა სესხებისადმი, ზემოთ დადგენილი თანმიმდევრობით.

14.2 ანაზღაურება

მსესხებელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე გამსესხებელმა შესაძლოა ნებისმიერ დროს დაადგინოს სავალდებულო და გადასახდელი ვალდებულებები მსესხებლისთვის გამსესხებლის მიერ არსებული ნებისმიერი რაოდენობის წინააღმდეგ მსესხებლის სახელით ან ნებისმიერი სავალდებულო და გადასახდელი ვალდებულება გამსესხებლის მსესხებლისადმი. თუ ვალდებულებები არის განსხვავებულ ვალუტებში გამსესხებელს შეუძლია დააკონვერტიროს ვალდებულება გავრცელებული ვალუტის გაცვლითი კურსით ანაზღაურების მიზნით.

მსესხებლის მიერ შეთანხმების ფარგლებში გაკეთებული ყველა გადახდა უნდა გამოანგარიშდეს და გაკეთდეს ანაზღაურების გარეშე. მსესხებელს აკმალოლი აქვს ნებისმიერი ანაზღაურების გაკეთება.

14.3 სამუშაო დღეები

თუ გადასახადი არის სავალდებულო იმ დღეს, რომელიც არ არის სამუშაო დღე მაშინ გადახდა უნდა მოხდეს მომდევნო სამუშაო დღეს თუ ეს სამუშაო დღე არის იმავე თვეში ან წინა სამუშაო დღეს თუ მომდევნო სამუშაო დღე არ არის იმავე თვეში.

შეთანხმების ფარგლებში ძირითადი თანხის ან გადაუხდელი რაოდენობის გადახდის თარიღის ნებისმიერი გაგრძელების დროს, პროცენტი უნდა იქნას გადახდილი გაგრძელებული პერიოდის რაოდენობის შესაბამისად თავდაპირველი გადახდის თარიღთან შესაბამისი გაცვლითი კურსით.

14.4 გადახდის ვალუტა

შეთანხმების თითოეული გადასახდელი რაოდენობის ვალუტა არის ევრო, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც მოცემულია 14.6 მუხლში (გადახდის ადგილი).

14.5 დღის დათვლის კონვენცია

ნებისმიერი საპროცენტო განაკვეთი, საფასური ან ხარჯები დარიცხული შეთანხმების ფარგლებში დათვლილი იქნება გასული დათვლილი დღეების საფუძველზე და წლის სამასსამოცი (360) დღის ევროპის ბანკთაშორისი ბაზრის პრაქტიკით.

14.6 გადახდის ადგილი

- ა) გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის გადასარიცხი ნებისმიერი ფულადი რესურსის ფარგლებში გადახდილი იქნება კონკრეტულად, მსესხებლისთვის ამ მიზნით შედგენილი საბანკო ანგარიშით იმის უზრუნველყოფით, რომ გამსესხებელმა მისცა წინასწარი თანხმობა არჩეულ ბანკზე.
- ბ) მსესხებელი გადაიხდის პირდაპირ ან თუ მისაღებია აუნაზღაურებს გამსესხებელს, გამსესხებლის მიერ წინასწარ გადახდილ თანხას, ყველა ხარჯსა და დანახარჯს თანხების გადაცემასთან დაკავშირებით, პარიზიდან ნებისმიერ სხვა ადგილას შეთანხმებული გამსესხებელთან, ისევე როგორც ნებისმიერი გადარიცხვის საფასური და ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია რესურსის ფარგლებში გადახდის ვადებთან.
- გ) ნებისმიერი გადახდა მსესხებლის მიერ გამსესხებლისადმი უნდა გადაიხდეს სავალდებულო დღეს არა უგვიანეს 11:00 საათისა (პარიზის დროით) შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

RIB კოდი: 30001 00064 00000040235 03

IBAN კოდი: FR76 3000 1000 6400 0000 4023 503

საფრანგეთის ბანკის SWIFT კოდი (BIC): BDFEFRPPCCT

გამსესხებლის მიერ გახსნილ პარიზში საფრანგეთის ბანკის (სათაო ოფისი/მთავარი ფილიალი) ან ნებისმიერ სხვა ანგარიშზე, რომელსაც გამსესხებელი აცნობებს მსესხებელს.

- დ) მსესხებელმა გამსესხებლისადმი ნებისმიერი რაოდენობის გადარიცხვისას პასუხისმგებელი ბანკისგან უნდა მოითხოვს, რომ ის უზრუნველყოფს ნებისმიერ გადარიცხვაზე შემდეგი ინფორმაციის მიწოდებას ყოვლისმომცველად და შემდეგი თანმიმდევროთ (მითიბული რიცხვები ეხება SWIFT MT 202 და 103 პროტოკოლს)
 - ძირითადი: სახელი, მისამართი, საბანკო ანგარიშისი ნომერი (ნაწილი 50)
 - ძირითადი ბანკის: სახელი და მისამართი (ნაწილი 52)
 - მითითება: მსესხებლის სახელი, პროგრამის სახელი, შეთანხმების მითითებული ნომერი (ნაწილი 70)
- ე) მსესხებლის მიერ გაკეთებული ყველა გადახდა უნდა შეესაბამებოდეს 14.6 მუხლს (გადახდის ადგილი) იმისათვის, რომ შესაბამისი საგადახდო ვალდებულება ჩაითვალოს სრულყოფილად.

14.7 გადახდის სისტემის დარღვევა

თუ გამსესხებელი განსაზღვრავს, რომ მოხდა გადახდის სისტემის დარღვევა ან მსესხებელი აცნობებს გამსესხებელს, რომ მოხდა გადახდის სისტემის დარღვევა, გამსესხებელი:

- ა) შესაძლოა და თუ მსესხებელი მოითხოვს მსესხებელთან განიხილოს ნებისმიერი ცვლილებები რესურსების ოპერაციულ და ადმინისტრაციულ შეთანხმებაზე, როგორც გამსესხებელი ჩათვლის საჭიროდ იმ გარემოებაში;
- ბ) არ არის ვალდებული, რომ მსესხებელთან განიხილოს ნებისმიერი ცვლილებები მოხსენიებული პარაგრაფ ა-ში თუ მისი აზრით არსებულ გარემოებაში ეს არაპრაქტიკულია და ნებისმიერ შემთხვევაში მას არ გააჩნია ვალდებულება, რომ დათანხმდეს ასეთ ცვლილებებს; და
- გ) არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი ხარჯისადმი, დანაკარგის ან ვალდებულებებისადმი, რომლებიც წარმოიშობა 14.7 მუხლში (გადახდის სისტემის დარღვევა) ქმედებების განხორციელების ან განხორციელების მარცხის შემთხვევაში.

15. სხვადასხვა

15.1 ენა

შეთანხმების ენა არის ინგლისური. თუ შეთანხმება გადათარგმნილია ნებისმიერ სხვა ენაზე ინგლისური ვარიანტი უნდა გავრცელდეს ნებისმიერი კონფლიქტური ინტერპრეტაციის შემთხვევაში ან მხარეებს შორის კამათის დროს.

ყველა შეტყობინება ან შეთანხმებასთან დაკავშირებით ან მის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტები უნდა იყოს ინგლისურად.

გამსესხებელმა შეიძლება მოითხოვოს, რომ შეტყობინება ან შეთანხმებასთან დაკავშირებით ან მის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტები, რომლებიც არ არის ინგლისურად წარმოდგენილი იყოს დამოწმებული ინგლისურ თარგმანთან ერთად, ამ შემთხვევაში უნდა გავრცელდეს ინგლისური თარგმანი, გარდა იმ შემთხვევისა თუ დოკუმენტი არის კომპანიის ნორმატიული დოკუმენტი ან იურიდიული ტექსტი ან სხვა ოფიციალური დოკუმენტი.

15.2 სერთიფიკატები და განსაზღვრებები

ამ შეთანხმების ფარგლებში ან ფარგლებს გარეთ წარმოშობილი ნებისმიერი სამართალწარმოება ან არბიტრაჟი გამსესხებლის მიერ განხორციელებული შენატანები ანგარიშებზე არის იმ შემთხვევების პირველადი მტკიცებულება, რომელსაც ისინი ეხება.

წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში გამსესხებლის მიერ პროცენტის ამ თანხის ნებისმიერი სერთიფიცირება და განსაზღვრა იქნება მანიფესტის შეცდომის არ არსებობის შემთხვევაში იქნება დამაჯერებელი მტკიცებულება იმ საკითხისთვის, რომელსაც უკავშირდება.

15.3 ნაწილობრივი ბათილობა

თუ, ნებისმიერ დროს, წინამდებარე შეთანხმების მუხლი არის ან გახდება არაკანონიერი, ძალადაკარგული ან შეუსრულებელი, მაშინ ეს ფაქტი შეთანხმების დარჩენილი დებულებების კანონიერებაზე და აღსრულებადობაზე ვერცერთი მიმართულებით მოახდენს გავლენას ან შეასუსტებს.

15.4 უარის თქმის არარსებობა

შეთანხმების ფარგლებში გამსესხებლის ნებისმიერი უფლების შეუსრულებლობა ან შესრულების გადადება არ უნდა მოქმედებდეს, როგორც ამ უფლებაზე უარის თქმა.

ნებისმიერ უფლების ნაწილობრივმა შესრულებამ არ უნდა შეუშალოს ხელი ასეთი უფლების ნებისმიერ დამატებით შესრულებას ან ნებისმიერი სხვა უფლების შესრულებას ან შესაბამისი კანონის ფარგლებში გამოსწორებას.

შეთანხმების ფარგლებში გამსესხებლის უფლებები და შესწორებები არის საერთო და არ გამორიცხავს ნებისმიერ უფლებებს და შესწორებებს შესაბამისი კანონის ფარგლებში.

15.5 დავალება

მსესხებელმა შესაძლოა არ მიაკუთვნოს ან გადაურიცხოს, ნებისმიერ შემთხვევაში, ყველა ან ნებისმიერი უფლებები ან ობლიგაციები შეთანხმების ფარგლებში გამსესხებლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

გამსესხებელმა შესაძლოა მიაკუთვნოს ან გადასცეს ნებისმიერი უფლებები ან ობლიგაციები შეთანხმების ფარგლებში ნებისმიერ მესამე მხარეს იგივე პირობებით, როგორც ეს მოცემულია წინამდებარე შეთანხმებაში და შესაძლოა შევიდეს მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქვე-მონაწილეობის შეთანხმებაში.

გამსესხებელი აცნობებს მსესხებელს ნებისმიერი მისი უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემის შემთხვევას მესამე მხარის მიმართ.

15.6 იურიდიული ეფექტი

დანართში მოცემული განრიგები და ფაქტების ჩამონათვალი არის შეთანხმების ნაწილი და აქვს იგივე იურიდიული ეფექტი.

15.7 მთლიანი შეთანხმება

ხელმოწერის თარიღის თანახმად, შეთანხმება წარმოადგენს მხარეებს შორის არსებულ მთლიან შეთანხმებას მასში განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით და ცვლის და ანაცვლებს ყველა წინა დოკუმენტებს, შეთანხმებებს ან მემორანდუმებს, რომლებიც შესაძლოა შეიცვალოს ან შეთანხმდეს კომუნიკაციების შედეგად შეთანხმებასთან დაკავშირებით.

15.8 ცვლილებები

შეთანხმებაში არ შეიძლება გაკეთდეს ცვლილებები მანამ სანამ არ მოხდება მხარეებს შორის წერილობითი დადასტურება. ამ შეთანხმებაში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილების ძალაში შესვლა გაივლის იგივე პროცედურას, რაც მოცემულია წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლისთვის.

15.9 კონფიდენციალობა-ინფორმაციის გამჟღავნება

- ა) მსესხებელმა არ უნდა გაამჟღავნოს შეთანხმებასთან დაკავშირებული ინფორმაცია ნებისმიერ მესამე მხარესთან გამსესხებლის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა იმ პიროვნებისა, რომელთანაც მსესხებელს აქვს ვალდებულება ნებისმიერი შესაბამისი კანონის, რეგულაციის ან იურიდიული წესის ფარგლებში.
- ბ) მიუხედავად ნებისმიერი არსებული კონფიდენციალური შეთანხმებისა გამსესხებელს შეუძლია გაუმჟღავნოს ნებისმიერი ინფორმაცია ან პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტები: i) მის აუდიტორებს, ექსპერტებს, სარეიტინგო სააგენტოებს, კანონიერ მრჩეველებს ან საზედამხედველო ორგანოებს; ii) ნებისმიერ პირს ან დაწესებულებას, რომელსაც გამსესხებელმა შესაძლოა მიაკუთვნოს ან გადაურიცხოს შეთანხმების ფარგლებში არსებული მისი უფლებები ან ვალდებულებები მთლიანად ან ნაწილობრივ; და iii) ნებისმიერ პირს ან დაწესებულებას ნებისმიერი დამცავი ზომების მიღების მიზნით ან შეთანხმების ფარგლებში არსებული გამსესხებლის უფლებების შენარჩუნების მიზნით.
- გ) დამატებით, მსესხებელი გამსესხებელს ანიჭებს უფლებას:
 - (i) საერთაშორისო დახმარების გამჭვირვალობის ინიციატივის ნებისმიერი მოთხოვნის შესაბამისად გაუზიაროს საფრანგეთის რესპუბლიკას საფრანგეთის მთავრობის ვებ-გვერდზე გამოსაქვეყნებლად; და
 - (ii) რომ გამოქვეყნდეს გამსესხებლის ვებ-გვერდზე;პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია და მისი დაფინანსება განრიგ 6-ის შესაბამისად (ინფორმაცია რომელიც შეიძლება გამოქვეყნებულ იყოს საფრანგეთის მთავრობის ვებ-გვერდზე და გამსესხებლის ვებ-გვერდზე).

15.10 ლიმიტირება

ნებისმიერი საჩივრის ხანდაზმულობის ვადა აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში უნდა იყოს ათი (10) წელი, გარდა ამ შეთანხმების საფუძველზე გათვალისწინებული ნებისმიერი ინტერესის საჩივრისა.

15.11 პრობლემის არარსებობა

თითოეული მხარე აცნობიერებს, რომ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1195 მუხლის დებულებები არ უნდა შეესაბამებოდეს მის შეთანხმების ფარგლებში არსებულ ვალდებულებებს და არ უნდა მიეცეს უფლება საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1195 მუხლის ფარგლებში შენიშვნების გაკეთების.

16. შეტყობინებები

16.1 წერილობითი და მისამართები

შეთანხმების ფარგლებში ნებისმიერი შეტყობინება, მოთხოვნა ან სხვა კომუნიკაცია უნდა იყოს გადაცემული ან გაკეთებული წერილობით და, მანამ სხვაგვარად არ იქნება დადგენილი, შეიძლება იქნეს გადაცემული ფაქსით ან ფოსტით შესაბამისი მხარის ქვემოთ დადგენილ მისამართსა და ნომერზე:

მსესხებლისთვის:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მისამართი: გორგასლის ქუჩა N16, 0114 თბილისი, საქართველო

ტელეფონი: +995 32 2261450

ელ.ფოსტა: publicdebt@mof.ge

საყურადღებოდ: სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

გამსესხებლისთვის:

AFD- პარიზის სათაო ოფისი

მისამართი: საფრანგეთი, პარიზი, კედექს 12, როლანდ ბარტის ქუჩა N75598

ტელეფონი: + 33 1 53 44 31 31

ფაქსი: + 33 1 44 87 39 65

საყურადღებოდ: აღმოსავლეთ ევროპის, შუა აღმოსავლეთისა და აზიის AFD-ს დირექტორი

ან მსგავსი სხვა მისამართი, ფაქსის ნომერი, დეპარტამენტი ან მოხელე, როგორც ერთი მხარე შეატყობინებს მეორე მხარეს.

16.2 მიწოდება

შეთანხმების ფარგლებში ნებისმიერი შეტყობინება, მოთხოვნა ან კომუნიკაცია ან ნებისმიერი დოკუმენტი ერთი მხარის მიერ მეორისადმი გაგზავნილი იქნება ეფექტური:

ა) თუ გაიგზავნება ფაქსით, როდესაც მიღებულია კანონიერი ფორმით; და

ბ) ფოსტით გაგზავნილი წერილი, როდესაც მიღებულია სწორ მისამართზე,

და სადაც კონკრეტული პირი ან დეპარტამენტი განსაზღვრულია 16.1 მუხლის (წერილობითი და მისამართები) მისამართის დეტალების შესაბამისად, თუ ასეთი შეტყობინება, მოთხოვნა ან კომუნიკაცია არის მიმართული პირისადმი ან დეპარტამენტისადმი.

16.3 ელექტრონული კომუნიკაცია

- ა) ნებისმიერი კომუნიკაცია ერთი პირის მიერ მეორისადმი შეთანხმების ფარგლებში ან მასთან დაკავშირებით შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან სხვა ელექტრონული საშუალებით თუ მხარეები:
 - (i) თანხმდებიან, რომ მანამ სანამ სხვაგვარად არ იქნებიან ინფორმირებული, ეს მიღებული იქნება კომუნიკაციის ფორმად;
 - (ii) ერთმანეთს ატყობინებენ წერილობითი ფორმით მათ ელექტრონულ ფოსტის მისამართზე და/ან ნებისმიერ სხვა ინფორმაციას მოთხოვნილს გასაგზავნად და ინფორმაციის მიღებას ამ მნიშვნელობით; და
 - (iii) ერთმანეთს ატყობინებენ მათი მისამართის ნებისმიერ ცვლილებას ან ნებისმიერ სხვა მსგავს ინფორმაციას მათ მიერ მიწოდებულს.
- ბ) მხარეებს შორის გაკეთებული ნებისმიერი ელექტრონული კომუნიკაცია ეფექტური იქნება მხოლოდ მაშინ, როცა მიღებულია წაკითხვადი ფორმით.

17. მარეგულირებელი კანონი, აღსრულება და იურიდიული მისამართის შერჩევა გადახდებისთვის

17.1 მარეგულირებელი კანონი

შეთანხმება რეგულირდება საფრანგეთის კანონით.

17.2 არბიტრაჟი

შეთანხმებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა უნდა ეხებოდეს და საბოლოოდ დარეგულირდეს არბიტრაჟით, საერთაშორისო სავაჭრო პალატის არბიტრაჟის და შერიგების წესების ფარგლებში საარბიტრაჟო პროცედურების დაწყების თარიღში ამ წესების შესაბამისად დანიშნული ერთი ან მეტი არბიტრის მიერ.

არბიტრაჟის ადგილი უნდა იყოს პარიზი და არბიტრაჟის ენა ინგლისური.

არბიტრაჟის მუხლი უნდა დარჩეს ძალაში და ეფექტური თუ შეთანხმება გამოცხადებულია ბათილად ან არის შეწყვეტილი ან გაუქმებულია და მოყვება შეთანხმების ვადის ამოწურვა. შეთანხმების ფარგლებში მხარეების შეთანხმებაზე დაფუძნებული ვალდებულებები არ არის შეჩერებული თუ მხარე ინიცირებას გააკეთებს კანონიერი პროცედურების სხვა მხარის წინააღმდეგ.

ნებისმიერი ექვსის თავიდან აცილების მიზნით, დამცველის ხარჯები ან სადამცველო ღონისძიებები, რომელიც წარმოიშვა არბიტრაჟის ნებისმიერ პროცედურებამდე, გაღებულ იქნება იმ მხარის მიერ, რომლის წინააღმდეგ გამოტანილ იქნა საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, თუ აღნიშნულს არ დაფარავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

მხარეები პირდაპირ თანხმდებიან, რომ შეთანხმების ხელმოწერით მსესხებელი უარს ამბობს იმუნიტეტის ყველა უფლებაზე იურისდიქციასთან ან აღსრულებასთან მიმართებაში, რომელზეც შეიძლება სხვაგვარად მიეწოდოს, ამიტომ, იმუნიტეტი არ არის მოხსნილი შემდეგთან მიმართებაში (i) მიმდინარე ან მომავალი „საკონსულო წინაპირობები“ მათ შორის ნებისმიერი საბანკო ანგარიში როგორც განსაზღვრულია 1961 წელს ხელმოწერილ ვენის კონვენციის დიპლომატიური ურთიერთობებში, „საკონსულო წინაპირობები“ მათ შორის ნებისმიერი საბანკო ანგარიში რომელიც განსაზღვრულია ვენის კონვენციით საკონსულო ურთიერთობებზე ხელმოწერილი 1963 წელს ან სხვანაირად გამოყენებული საქართველოს დიპლომატიური ან საკონსულო მისიის მიერ ან ნებისმიერი სააგენტოს მიერ ან აქედან გამომდინარე მსგავსი ინსტიტუცია (გარდა იმისა რომელიც გავლენას ახდენს მომსახურებაზე), (ii) სამხედრო ხასიათის ან სამხედრო ხელისუფლების ან თავდაცვის უწყების კონტროლის ქვეშ არსებული შენობები, (iii) საქართველოში მდებარე უძრავი ქონება და მიძღვნილი საჯარო, სამთავრობო ან კულტურული გამოყენებისთვის (კომერციული გამოყენებისგან განსხვავებით) ან (iv) ექვსის თავიდან

აცილების მიზნით, ა) საქართველოს ეროვნული ბანკის ქონება, ფლობს თუ არა ქართული ან არაქართული ბანკი ან ნებისმიერი სხვა ფინანსური ინსტიტუტი, ან ბ) ნებისმიერი ტიპის უძრავი ქონება, რომელიც მდებარეობს საქართველოში, ფარავს საქართველოს სააღსრულებო წარმოების შესახებ კანონის მე-2¹ მუხლი. მსესხებელი უფლებას იტოვებს დაიცვას თავისი სუვერენული იმუნიტეტი 1976 წლის აშშ უცხოური სუვერენული იმუნიტეტის აქტის შესაბამისად მის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედების შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოში ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური ან შტატის უსაფრთხოების კანონის მიხედვით.

17.3 პროცესის მომსახურება

ნებისმიერი შესაბამისი კანონის ზიანის გარეშე სასამართლო და ზემდგომი სასამართლო დოკუმენტების მომსახურების მიზნით ნებისმიერ ქმედებასთან ან ზემოთხსენებულ პროცესებთან დაკავშირებით, მსესხებელი დაბრუნების გარეშე ირჩევს მის რეგისტრაციის ოფისს შეთანხმებაში დადგენილი თარიღის, მე-16 მუხლში (შეტყობინებები) დადგენილი მისამართის თანახმად პროცესის მომსახურებისთვის და გამსესხებლის ირჩევს მისამართს „AFD სათაო ოფისი“ 16 მუხლში (შეტყობინებები) დადგენილი პროცესის მომსახურებისთვის.

18. ხანგრძლივობა

შეთანხმება ძალაში შედის იმ დღეს, როდესაც საქართველოს პარლამენტი მოახდენს შეთანხმების რატიფიცირებას (ძალაში შესვლის დღეს). რატიფიკაცია უნდა მოხდეს არაუგვიანეს 90 დღისა ხელმოწერის დღიდან. შეთანხმება რჩება ძალაში და მოქმედებს მანამ, სანამ ნებისმიერი თანხა არის გადაუხდელი.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ვალდებულებები 15.9 მუხლის (კონფიდენციალობა-ინფორმაციის გამჟღავნება) ფარგლებში უნდა შენარჩუნდეს და დარჩეს ძალაში და ეფექტური ბოლო გადახდის თარიღის შემდეგ ხუთი (5) წლის განმავლობაში; 11.4.2 მუხლის (გარემოსდაცვითი და სოციალური საჩივრების მართვა) დებულებების ეფექტურობა უნდა გაგრძელდეს, მანამ სანამ ES საჩივრების მართვის პროცედურების ფარგლებში წარდგენილი ნებისმიერი საჩივარი არის კვლავ პროცესში ან ზედამხედველობის ქვეშ.

შესრულებულია ორ (2) ორიგინალად, თბილისში, თარიღი ----.

მსესხებელი

საქართველო

ივანე მაჭავარიანი

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

გამსესხებელი

საფრანგეთის განვითარების სააგენტო

გაელე ასაიაგი

სამხრეთ კავკასიის რეგიონის დირექტორი

თანახელმომწერი მისი აღმატებულება დიეგო კოლას, საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში

განრიგი 1ა - განმარტებები

კორუფციული ქმედება	გულისხმობს ნებისმიერ შემდგომიდან: ა) პირდაპირი ან არაპირდაპირი დაპირების, შეთავაზების ან გადაცემის ქმედება, საჯარო პირისადმი ან ნებისმიერი პირისადმი, რომელიც ხელმძღვანელობს ან მუშაობს კერძო სექტორის დაწესებულებისთვის ნებისმიერ დონეზე, ნებისმიერი სახის არასასურველი უპირატესობა, შესაბამისი პირისათვის ან სხვა პირისათვის ან დაწესებულებისთვის, რათა ეს პირი იმოქმედებს ან თავს შეიკავებს კანონის დარღვევისგან, შეთანხმებაზე დაფუძნებული ან პროფესიული ვალდებულებისგან და ექნება გავლენა საკუთარ ქმედებაზე ან სხვა პირების ქმედებაზე ან დაწესებულებაზე; ან ბ) საჯარო პირის ან ნებისმიერი პირის ქმედება, რომელიც ხელმძღვანელობს ან მუშაობს კერძო სექტორის დაწესებულებისთვის ნებისმიერ დონეზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ შუამდგომლობს ან იღებს ნებისმიერი ბუნების შეუსაბამო უპირატესობას, შესაბამისი პირისთვის ან სხვა პირისთვის ან დაწესებულებისთვის, რათა ეს პიროვნება იქცევა ან თავს იკავებს კანონის დარღვევისგან, შეთანხმებაზე დაფუძნებული ან პროფესიული ვალდებულებისგან და ექნება გავლენა საკუთარ ქმედებაზე ან სხვა პიროვნების ქმედებაზე ან დაწესებულებაზე.
შეთანხმება	გულისხმობს ამ საკრედიტო შეთანხმებას, რომელიც მოიცავს დოკუმენტის შესავალ ნაწილს, განრიგებს და თუ ეს შესაძლებელია, მასში წერილობით გაკეთებულ ნებისმიერ ცვლილებებს.
ანტიკონკურენტული პრაქტიკა	გულისხმობს: ა) ნებისმიერ კონცენტრირებულ ან ნაგულისხმევ ქმედებას, რომლის მიზანი და/ან მისი მოქმედება იწვევს დაბრკოლებას, შეზღუდვას ან დამახინჯებას სამართლიანი კონკურენციის ბაზარზე, რომელიც არ მოიცავს შეზღუდვას, როდესაც ის მიდრეკილია: i) შეზღუდოს ბაზრის ხელმისაწვდომობა ან კონკურენციის უფასო განხორციელება სხვა კომპანიების მიერ; ii) თავიდან აიცილოს ფასის დაწესება ბაზრის თავისუფალი ქმედებისგან, ასეთი ფასების ხელოვნურად გაზრდის ან შემცირების სასარგებლოდ; iii) შეზღუდოს ან გააკონტროლოს ნებისმიერი წარმოების, ბაზრების, ინვესტიციების ან ტექნიკური პროგრესი; ან (iv) ბაზრების და მიწოდების წყაროების გაზიარება; ბ) კომპანიის ან კომპანიების ჯგუფის მიერ დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება საშინაო ბაზრების ფარგლებში ან მის არსებით ნაწილში; ან გ) ნებისმიერი შეთავაზება ან ხელოვნურად დაბალ დონეზე ფასების დაწესება, რომლის მიზანი და/ან გავლენა ბაზრიდან განდევნის ან თავიდან აიცილებს კომპანიის ან მისი ერთ-ერთი პროდუქტის ბაზარზე ხელმისაწვდომობას.
უფლებამოსილება (ები)	გულისხმობს ნებისმიერ ავტორიზაციას, თანხმობას, დამტკიცებას, რეზოლუციას, ნებართვას, ლიცენზიას, გათავისუფლებას, შეტანას, ნოტარიულ დამოწმებას ან რეგისტრაციას, ან ნებისმიერ გათავისუფლებას მიღებულს ან უზრუნველყოფილს უფლებამოსილი პირის მიერ, მიუხედავად

	იმისა, მიღებულია თუ არა აქტით, ან ითვლება თუ არა მიღებულად თუ არ არის მიღებული პასუხი განსაზღვრულ დროში, ისევე როგორც ნებისმიერი უზრუნველყოფა და თანხმობა მიცემული გამსესხებელის მიერ.
უფლებამოსილი პირი(ები)	გულისხმობს ნებისმიერ სამთავრობო ან კანონიერ ორგანოს, დეპარტამენტს ან კომისიას, რომელიც ახორციელებს საჯარო პრეროგატივას ან ნებისმიერი ადმინისტრაციული, სასამართლო, სააგენტო ან სახელმწიფო ან ნებისმიერი სამთავრობო, ადმინისტრაციული, საგადასახადო ან სასამართლო ორგანო.
ხელმისაწვდომობის პერიოდი	მოიცავს პერიოდს ხელმოწერის თარიღის ჩათვლით ჩარიცხვის ბოლო თარიღამდე.
ხელმისაწვდომი კრედიტი	გულისხმობს დროის ნებისმიერ მონაკვეთში 2.1 მუხლში (რესურსი) განსაზღვრულ მაქსიმალურ ძირითად თანხას ნაკლებს: (i) მსესხებლის მიერ შედგენილი ნებისმიერი ჩარიცხვის მთლიანი რაოდენობა; (ii) ნებისმიერი ჩარიცხვის რაოდენობა გაკეთებული დაუმთავრებელი ჩარიცხვის მოთხოვნის თანახმად; და (iii) რესურსის ნებისმიერი ნაწილი, რომელიც გაუქმდა 8.3 (გაუქმება მსესხებლის მიერ) და/ან 8.4 (გაუქმება გამსესხებლის მიერ) მუხლების თანახმად.
მსესხებლის ანგარიში	გულისხმობს ანგარიშს შემდგომი დეტალებით: • IBAN კოდი: GE65NB0331100001150207 • ბანკის SWIFT კოდი: BNLNGE22 გახსნილი მსესხებლის სახელით სახაზინო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
სამუშაო დღე	გულისხმობს დღეს (შაბათ-კვირის გარდა), როდესაც ბანკები არის გახსნილი პარიზის სამუშაო დღის შესაბამისად და რომელიც არის მიზნობრივი დღე, როდესაც უნდა გაკეთდეს ჩარიცხვა.
დამოწმება	გულისხმობს ნებისმიერ ასლის, ფოტოასლის ან ორიგინალური დოკუმენტის სხვა ასლის დამოწმებას ნებისმიერი უფლებამოსილი პირის მიერ, როგორც დადასტურება ორიგინალი დოკუმენტის ასლის, ფოტოასლის ან ასლის.
ჩამორიცხვის ბოლო ვადა	გულისხმობს 2020 წლის 31 დეკემბერი, თარიღს, რომლის შედეგაც აღარ მოხდება ჩარიცხვა.
ჩამორიცხვა	გულისხმობს 3 მუხლში (ფულადი სახსრების ჩამორიცხვა) დადგენილი ვადების და პირობების თანახმად მთლიან ჩამორიცხვას ან რესურსის ნაწილს, რომელიც გამსესხებელმა გახადა ხელმისაწვდომი მსესხებლისათვის ან ძირითადი რაოდენობა ისეთი გადაუხდელი ჩამორიცხვების, რომელიც რჩება სავალდებულო ან გადასახდელი მოცემულ დროში.
ჩამორიცხვის თარიღი	გულისხმობს თარიღს, როდესაც გამსესხებელი ხელმისაწვდომს ხდის ჩამორიცხვას.

ჩამორიცხვის პერიოდი	გულისხმობს პერიოდს ჩამორიცხვის დაწყების თარიღიდან მომდევნო თარიღამდე და მოიცავს: (i) თარიღს, როდესაც ხელმისაწვდომი კრედიტი უტოლდება ნულს; (ii) ჩამორიცხვის ბოლო ვადას.
ჩამორიცხვის მოთხოვნა	გულისხმობს მოთხოვნას, არსებითად 5ა განრიგში (ჩამორიცხვის მოთხოვნის ფორმა) დადგენილი ფორმით
ეფექტურობის თარიღი	აქვს ამ შეთანხმების მე-18 მუხლით (ხანგრძლივობა) განსაზღვრული მნიშვნელობა
ემბარგო	გულისხმობს კომერციული ბუნების ნებისმიერ სანქციას, რომლის მიზანია ნებისმიერი ერთი ან რამოდენიმე საქონლის, პროდუქტების იმპორტის და/ან ექსპორტის (მიწოდება, გაყიდვა ან ტრანზფერი) აკრძალვა, ან ქვეყნიდან მოცემულ პერიოდში სერვისების გასვლის და/ან შემოსვლის აკრძალვა, როგორც გამოქვეყნებულია და შეცვლილია დროდადრო გაერთიანებული ერების, ევროკავშირის ან საფრანგეთის მიერ.
ES საჩივრების მართვის პროცედურები	გულისხმობს გარემოსდაცვითი და სოციალური საჩივრების მართვის პროცედურებში არსებულ შეთანხმების პირობებს, რომლებიც ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე, როგორც შეცვლილია დროდადრო.
EURIBOR	გულისხმობს, ბანკთა შორის მისაღებ განაკვეთს ევროში, ნებისმიერი ევროში განთავსებული დეპოზიტების შესაბამისი პერიოდისთვის, რომელიც შეესაბამება ჩამორიცხვის საპროცენტო პერიოდს, როგორც განსაზღვრულია ევროპის ფულადი ბაზრების ინსტიტუტის მიერ (EMMI), ან ნებისმიერი უფლება მონცავლის მიერ, ბრუსელის დროით 11:00 საათზე, საპროცენტო პერიოდის პირველ დღეზე ორი (2) სამუშაო დღით ადრე.
ევრო ან EUR	გულისხმობს, ევროპის ეკონომიკური და მონეტარული გაერთიანების წევრი ქვეყნების, მათ შორის საფრანგეთის, ერთიან ვალუტას, და აქვს კანონიერი ტენდერი წევრ ქვეყნებში.
ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევა	გულისხმობს 13.1 მუხლში (ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევა) დადგენილ ნებისმიერ შემთხვევას ან გარემოებას.
რესურსი	გულისხმობს, გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის ხელმისაწვდომ საკრედიტო რესურსებს, ამ შეთანხმების 2.1 მუხლის თანახმად (რესურსი) დადგენილ მაქსიმალურ ძირითად თანხას.
ფინანსური დავალიანება	გულისხმობს ნებისმიერ ფინანსურ დავალიანებას მის მიმართ და შემდეგისთვის:

	ბ) ნებისმიერი ფული ნასესხები მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პერიოდისთვის; გ) ნებისმიერი რაოდენობა, რომელიც წარმოიშობა ბონდების, შენიშვნების, ობლიგაციების, სესხის კაპიტალის ან მსგავსი ინსტრუმენტების გამოცემისას; დ) ნებისმიერი ფულადი თანხები წარმოშობილი სხვა ტრანზაქციების (მოიცავს ნებისმიერ წინსწრებ გაყიდვას ან ყიდვის შეთანხმებას) ფარგლებში, რომელსაც აქვს სესხების კომერციული ეფექტი; ე) ნებისმიერი პოტენციური გადახდის ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს გარანტიიდან, ობლიგაციიდან ან ნებისმიერი სხვა ინსტრუმენტიდან.
ფინანსური საწესების ჩამონათვალი	გულისხმობს პიროვნებების, ჯგუფების ან დაწესებულებების ჩამონათვალს, რომლებიც არიან ფინანსური საწესების სუბიექტები გაერთიანებული ერების, ევროკავშირის და/ან საფრანგეთის მიერ. მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და იმისთვის, რომ მსესხებლისთვის იყოს მოსახერხებელი, რომელსაც შეუძლია დაეყრდნოს, გამოიყენება ვებ-გვერდის შემდეგი მისამართები: გაერთიანებული ერების მიერ მოხსენიებული ჩამონათვალისთვის შემდეგი ვებ გვერდები შეიძლება გამოყენებული იქნეს კონსულტაციისთვის: https://www.un.org/sc/suborg/en/sanctions/un-sc-consolidated-list ევროკავშირის მიერ მოხსენიებული ჩამონათვალისთვის შემდეგი ვებ გვერდები შეიძლება გამოყენებული იქნეს კონსულტაციისთვის: http://eeas.europa.eu/cfsp/sanctions/consol-list_en.htm საფრანგეთის მიერ მოხსენიებული ჩამონათვალისთვის შემდეგი ვებ გვერდები შეიძლება გამოყენებული იქნეს კონსულტაციისთვის: http://www.tresor.economie.gouv.fr/4248 Dispositif-National-de-Gel-Terroriste
ფიქსირებული მითითებული განაკვეთი	გულისხმობს წლიურ %-ს.
თაღლითობა	გულისხმობს ნებისმიერ არაპატიოსან პრაქტიკას (ქმედებებსა და წინდაუხედაობას), რომელიც განზრახ არის მიმართული სხვების შეცდომაში შესაყვანად, განზრახ შენიღბავს ელემენტებს მათგან. ან მოტყუებას ან თანხმობისთვის სახელის გაუტეხვას, რომ გვერდი აუაროს ნებისმიერ კანონიერი ან რეგულაციურ მოთხოვნებს და/ან დაარღვიოს მსესხებლის ან მესამე მხარის შიდა წესები და პროცედურები, რათა მიიღოს არალეგიტიმური სარგებელი.
თაღლითობა ევროპის თანამეგობრობის ფინანსური	გულისხმობს ნებისმიერ საერთაშორისო ქმედებას ან წინდაუხედაობას, რომელიც მიმართულია ევროკავშირის ბიუჯეტის დაზიანებისკენ და მოიცავს i) სიცრუის გამოყენებას და წარმოდგენას, დაუსრულებელ და დაუზუსტებელ განცხადებებს ან დოკუმენტებს, რომელიც მოქმედებს, როგორც მითვისება ან ფულადი სახსრების არასწორი შეჩერება ან ევროკავშირის ზოგადი ბიუჯეტის

ინტერესების წინააღმდეგ	რესურსების ნებისმიერი არაკანონიერი შემცირება; ii) იგივე შედეგი აქვს ინფორმაციის არ დართვას; და iii) მოთვისება ფულადი სახსრების ისეთი მიზნებისთვის, რომელიც არ შეესაბამება განსაზღვრულს.
საშელავათო პერიოდი	გულისხმობს პერიოდს ხელმოწერის თარიღიდან და ასეთი თარიღის გასვლის შემდეგ სამოცდათორმეტი (72) თვის ჩათვლით, რომლის განმავლობაშიც რესურსის ფარგლებში არცერთი ძირითადი გადახდა არ არის სავალდებულო და გადასახდელი.
უკანონო წარმოშობა	გულისხმობს ფულად სახსრებს მიღებულს: ა) ნებისმიერი პროგნოზირებული დანაშაულის ჩადენა როგორც განსაზღვრულია FATF 40 რეკომენდაციებში „განსაზღვრული დარღვევების კატეგორიები“ http://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/recommendations/pdfs/FATF_Recommendations.pdf); (ბ) ნებისმიერი კორუფციული ქმედება; ან (გ) ნებისმიერი თაღლითობა ევროპული თანამეგობრობის ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ თუ ან როცა მისაღებია.
ინდექსირებული განაკვეთი	გულისხმობს TEC 10-ის დღიურ ინდექსს, გამოქვეყნებულს ყოველდღიურად მითითებული ფინანსური ინსტიტუტის შესაბამის ვებ გვერდზე ან ნებისმიერი სხვა ინდექსს, რომელსაც შეუძლია ჩაანაცვლოს TEC 10 ყოველდღიური ინდექსი. ხელმოწერის დღის ინდექსის განაკვეთი ---- წლის -- ----- მდგომარეობით არის წლიური ----%.
საპროცენტო განაკვეთის პერიოდი (ები)	გულისხმობს, თითოეულ პერიოდს გადახდის თარიღიდან (ექსკლუზიური) შემდეგ გადახდის თარიღამდე (ინკლუზიური). თითოეული ჩამორიცხვისთვის რესურსის ფარგლებში, პირველი საპროცენტო განაკვეთის პერიოდი უნდა დაიწყოს ჩამორიცხვის თარიღიდან (ექსკლუზიური) და დამთავრდეს შემდეგ გადახდის თარიღამდე (ინკლუზიური).
საპროცენტო განაკვეთი	გულისხმობს, საპროცენტო განაკვეთს გამოხატულს პროცენტებში და განსაზღვრულს 4.1 მუხლის (საპროცენტო განაკვეთი) შესაბამისად.
მარჟა	გულისხმობს, ნოლი მთელ სამოც პროცენტს (0.60%) წლიურად.
ბაზრის დარღვევის შემთხვევა	გულისხმობს შემდეგიდან ერთის მოხდენას: (i) EURIBOR არ არის განსაზღვრული ევროპის ფულადი ბაზრების ინსტიტუტის მიერ (EMMI), ან ნებისმიერი უფლებამონაცვლის მიერ, ბრიუსელის დროით 11:00 საათზე, ორი (2) სამუშაო დღით ადრე შესაბამისი საპროცენტო პერიოდის პირველ დღეზე; ან (ii) შესაბამისი ბანკთაშორისი ბაზრის საქმიანობის დახურვამდე, შესაბამისი საპროცენტო პერიოდის პირველ დღეზე ორი (2) სამუშაო დღით ადრე, მსესხებელი იღებს შეტყობინებას გამსესხებლისგან, რომ i) შესაბამისი რესურსების მიღების გამსესხებლის ღირებულება შესაბამისი ბანკთა შორის ბაზრებზე იქნება EURIBOR-ზე მეტი შესაბამისი საპროცენტო პერიოდისთვის; ან ii) შეუძლებელი იქნება შესაბამისი რესურსების მიღება შესაბამისი

	ბანკთაშორისი ბაზრისთვის ჩვეულებრივი კურსით, რომ დააფინანსო შესაბამისი ჩამორიცხვა დროის შესაბამისი პერიოდისთვის.
მატერიალურად არახელსაყრელი გავლენა	გულისხმობს მატერიალურ და არახელსაყრელ გავლენას შემდეგზე: (ა) პროგრამა, რამდენადაც ის საფრთხეს შეუქმნის პროგრამის დანერგავს და განხორციელებას ამ შეთანხმების თანახმად; ბ) მსესხებლის საქმიანობა, აქტივები, ფინანსური პირობები ან მისი უნარი, რომ წარმოადგინოს ამ შეთანხმების ფარგლებში არსებული ვალდებულებები; გ) ამ შეთანხმების საფუძვლიანობა ან განხორციელება; ან დ) გამსესხებლის ნებისმიერი უფლება ან საშუალება ამ შეთანხმების ფარგლებში.
გადაუხდელი ძირითადი თანხა	გულისხმობს, ნებისმიერი ჩამორიცხვის მიმართ გადაუხდელი ძირითად თანხას ამ ჩამორიცხვის თანახმად, გამსესხებლის მიერ მსესხებლისადმი გადახდილ შესაბამის ჩამორიცხვის რაოდენობას ნაკლებს ვიდრე ჩამორიცხვების მთლიანი წილის გადახდებს გადახდილს მსესხებლის მიერ გამსესხებლისადმი ამ ჩამორიცხვის მიმართ.
გადახდის თარიღი	გულისხმობს ყოველი წლის 16 სექტემბერს და 16 მარტს.
გადახდის სისტემის დარღვევის შემთხვევა	გულისხმობს ერთ ან ორივეს შემდეგიდან: ა) გადახდის ან კომუნიკაციების სისტემის მატერიალური დარღვევა ან ფინანსური ბაზრების, რომლებსაც თითოეულ შემთხვევაში, მოეთხოვებათ იმუშავონ ისე, რომ გადახდები იქნას გაკეთებული რესურსებთან დაკავშირებით (ან სხვა შემთხვევაში ამ შეთანხმების შედეგად შესრულდეს გადარიცხვები), უზრუნველყონ, რომ დარღვევა არ იქნეს გამოწვეული და არის კონტროლქვეშ ნებისმიერი მხარეების მიერ; ან ბ) ნებისმიერი სხვა შემთხვევის მოხდენა, რომელიც გამოიწვევს სახაზინო ან გადახდის ოპერაციების დარღვევებს (ტექნიკური ან სისტემური ხასიათის) მხარეებმა აიცილონ თავიდან, ან ნებისმიერმა სხვა მხარემ: (i) წარმოადგინოს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული საგადახდო ვალდებულება; ან (ii) ამ შეთანხმების ვადების თანახმად სხვა მხარესთან კომუნიკაციის შემდეგ; და რომელიც (ერთ-ერთ შემთხვევაში) არ არის გამოწვეული და არის ერთ-ერთი მხარის კონტროლის ქვეშ.
წინასწარი გადახდის კომპენსაციური ანაზღაურება	გულისხმობს დაანგარიშებას რესურსების შემდეგი პროცენტული რაოდენობით, რომელიც გადახდილია წინასწარ: - თუ გადახდა მოხდება ხელმოწერის თარიღიდან მე-6 წელის თარიღამდე (ექსკლუზიურად) : ორი მთელი ხუთი პროცენტი (2.5%); - თუ გადახდა მოხდება ხელმოწერის თარიღიდან მე-6 (ინკლუზიურად) და მე-10 (ექსკლუზიურად) წლებს შორის: ორი პროცენტი (2%); - თუ გადახდა მოხდება ხელმოწერის თარიღიდან მე-10 (ინკლუზიურად) და მე-15 (ექსკლუზიურად) წლებს შორის: ერთი მთელი ხუთი პროცენტი (1.5%);

	- თუ გადახდა მოხდება ხელმოწერის თარიღიდან 15 წლის შემდეგ (ინკლუზიურად): ერთი პროცენტი (1%).
პროგრამა	გულისხმობს პროგრამას, როგორც აღწერილია განრიგ 2-ში (პროგრამის აღწერა).
საჯარო წარმომადგენლები	გულისხმობს i) ნებისმიერ მფლობელს საკანონმდებლო, აღმასრულებელი, ადმინისტრაციული ან იურიდიული ოფისის დანიშნულს ან არჩეულს, მუდმივ მომსახურეს ან სხვა შემთხვევაში, ანაზღაურებადს ან არაანაზღაურებადს რანგის მიუხედავად, ან ii) ნებისმიერი სხვა პიროვნება განსაზღვრული, როგორც საჯარო წარმომადგენელი მსესხებლის შიდა კანონის იურისდიქციის ფარგლებში, და iii) ნებისმიერი სხვა პიროვნება, რომელიც ასრულებს საჯარო ფუნქციებს მათ შორის სახელმწიფო სააგენტო ან ორგანიზაცია, ან საჯარო სერვის მიმწოდებელი.
საპროცენტო განაკვეთის კონსერვაცია	გულისხმობს მცურავი გაცვლითი კურსის კონვერტაციას, რომელიც მისაღებია ყველა მხარისთვის ან რესურსების ნაწილისთვის ფიქსირებულ განაკვეთის 4.1 მუხლის თანახმად (საპროცენტო განაკვეთი).
კონსერვაციის მოთხოვნის ფორმა	გულისხმობს მსესხებლის მოთხოვნას 5გ განრიგის ფორმის თანახმად (კონვერსიის მოთხოვნის ფორმა).
საპროცენტო განაკვეთის თარიღის დადგენა	გულისხმობს: I- ნებისმიერ საპროცენტო განაკვეთის პერიოდთან მიმართებაში, რომლისთვისაც უნდა განისაზღვროს საპროცენტო განაკვეთი: (i) გამსესხებლის მიერ ჩამორიცხვის მოთხოვნის მიღების მომდევნო პირველი ოთხშაბათი (ან, თუ ეს დღე არის არა სამუშაო დღე მომდევნო სამუშაო დღე), იმის უზრუნველყოფით, რომ ეს თარიღი არის ამ ოთხშაბათის წინა სულ მცირე ორი (2) სამუშაო დღე; (ii) კრედიტორის მიერ ჩამორიცხვის მოთხოვნის მიღების მომდევნო მეორე ოთხშაბათი (ან, თუ ეს დღე არის არასამუშაო დღე მომდევნო სამუშაო დღეს), თუ ეს თარიღის არ არის სულ მცირე ორი (2) სამუშაო დღით ადრე პირველი ოთხშაბათისა, როგორც განსაზღვრულია ზემოთ პარაგრაფ ა-ში; II-საპროცენტო განაკვეთის კონსერვაციის შემთხვევა: (i) გამსესხებლის მიერ საპროცენტო განაკვეთის კონსერვაციის მოთხოვნის მიღების მომდევნო პირველ ოთხშაბათს(ან, თუ ეს დღე არის არასამუშაო დღე მომდევნო სამუშაო დღეს) იმის უზრუნველყოფით, რომ ეს თარიღი არის ამ ოთხშაბათის წინა სულ მცირე ორი (2) სამუშაო დღე; (ii) გამსესხებლის მიერ საპროცენტო განაკვეთის კონსერვაციის მოთხოვნის მიღების მომდევნო მეორე ოთხშაბათს (ან, თუ ეს დღე არის არასამუშაო დღე მომდევნო სამუშაო დღეს, თუ ეს თარიღი არ არის სულ მცირე ორი (2) სამუშაო დღით ადრე პირველი ოთხშაბათისა.
მითითებული ფინანსური ინსტიტუტები	ნიშნავს ფინანსურ ინსტიტუტს, რომელიც შერჩეულია გამსესხებლის მიერ როგორც შესაფერისი კომპეტენტური ფინანსური ინსტიტუტი და რომელიც რეგულარულად აქვეყნებს ფინანსური ინსტრუმენტების ქვოტირებას ერთ-

	ერთ საერთაშორისო ფინანსურ ინფორმაციის ქსელზე დაყრდნობით საბანკო ინდუსტრიის მიერ აღიარებული პრაქტიკების მიხედვით.
განრიგი (ები)	გულისხმობს ამ შეთანხმების ნებისმიერ განრიგს ან განრიგებს.
ხელმოწერის თარიღი	გულისხმობს მხარეების მიერ შეთანხმებულ ამ შეთანხმების აღსრულების თარიღს.
მიზნობრივი დღე	გულისხმობს დღეს, როდესაც ტრანს ევროპული ავტომატური დროის მთლიანი ანგარიშსწორების გამომხატველი ტრანსფერი 2 (TARGET2) სისტემა ან ნებისმიერი უფლებამონაცვლე, არის ღია გადახდების ანგარიშსწორებისთვის ევროში.
გადასახადი (ები)	გულისხმობს ნებისმიერ გადასახადს, ბეგარას, საბაჟო გადასახადს, ვალდებულებას ან სხვა ვალდებულებას ან მსგავსი ბუნების დაკავებას (მათ შორის ნებისმიერ ჯარიმას ან პროცენტს გადასახდელს გადახდის წარუმატებლობასთან დაკავშირებით ან ნებისმიერ რაოდენობის გადახდის გადადებას).
ვებ გვერდი	გულისხმობს AFD ვებ გვერდს (http://www.afd.fr/) ან სხვა ჩამნაცვლებელ ვებ გვერდს.
საშემოსავლო გადასახადი	გულისხმობს, ნებისმიერ გამოქვითვას ან შეჩერებას გადასახადებთან მიმართებაში შეთანხმების ფარგლებში ან მასთან დაკავშირებით ნებისმიერ გადახდას.

განრიგი 18 - ინტერპრეტაცია

- ა) „აქტივები“ მოიცავს მიმდინარე და მომავალ საკუთრების უფლებებს, შემოსავლებს და ყოველი აღწერის უფლებებს;
- ბ) ნებისმიერი მითითება „მსესხებელზე“, „მხარეზე“ ან „გამსესხებელზე“ გულისხმობს სათაურში მის უფლებამონაცვლებს, ნებადართულ უფლებამონაცვლებს და უფლების მიმღებებს;
- გ) ნებისმიერი მითითება წინამდებარე შეთანხმებასა და სხვა დოკუმენტზე არის მითითება ამ შეთანხმებაზე ან მსგავს დოკუმენტზე, რომელიც შეცვლილია, განახლებულია ან დამატებულია და თუ შესაძლებელია მოიცავს ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც ანაცვლებს მას ახლით შეთანხმებიდან გამომდინარე.
- დ) „გირაო“ მოიცავს ნებისმიერ გაფრთხილებას, თამასუქს და გირაოს, რომელიც არის იმ ვალისგან დამოუკიდებელი რომელსაც უკავშირდება;
- ე) „დაფალიანება“ გულისხმობს ნებისმიერი პირის ნებისმიერ ვალდებულებას, ნებისმიერი (იქნება ეს ძირითადი თანხა თუ გარანტია) თანხის გადახდის ან დაფარვისთვის, მიუხედავად იმისა ეს არის მიმდინარე, მომავალი, ფაქტიური თუ პირობითი;
- ვ) „პირი“ მოიცავს ნებისმიერ პირს, კომპანიას, კორპორაციას, ამხანაგობას, სანდოობას, მთავრობას, სახელმწიფოს ან სახელმწიფო სააგენტოს ან ნებისმიერ ასოციაციას, ან ორ ან მეტ ზემოხსენებული ჯგუფს (იმისდა მიუხედავად აქვთ თუ არა ცალკეული კანონიერი ინდივიდუალურობა);
- ზ) „რეგულაცია“ მოიცავს ნებისმიერი სამთავრობო, მთავრობათაშორისი ან სახელმწიფო ორგანოს, სახედამხედველო ორგანოს, მარეგულირებელ ორგანოს, დამოუკიდებელ ადმინისტრაციული ორგანოს, სააგენტოს, დეპარტამენტის ან ნებისმიერი სხვა ორგანოს ნებისმიერი განყოფილების ან ორგანიზაციის (მათ შორის ნებისმიერ რეგულაციას მიღებულს ინდუსტრიული ან კომერციული საჯარო დაწესებულების მიერ) ნებისმიერ კანონმდებლობას, რეგულაციას, წესს, განკარგულებას, ოფიციალურ დირექტივას, ინსტრუქციას, მოთხოვნას, რჩევას, რეკომენდაციას, გადაწყვეტილებას ან დირექტივას (მიუხედავად იმისა აქვთ თუ არა კანონის ძალა), რომელსაც აქვს გავლენა ამ შეთანხმებაზე ან მხარის უფლებებსა ან ვალდებულებებზე;
- თ) კანონის დებულება არის მითითება შეცვლილი დებულებისადმი;
- ი) თუ სხვაგვარად არ არის მოთხოვნილი, დრო არის მითითება პარიზის დროზე;
- კ) ნაწილი, მუხლი და განრიგი არის დასათაურებული მითითება მხოლოდ სიმარტივისთვის და არ აქვს გავლენა შეთანხმების ინტერპრეტაციაზე;
- ლ) თუ სხვაგვარად არ არის მოთხოვნილი, სიტყვებს და გამონათქვამებს გამოყენებულს ამ შეთანხმებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა დოკუმენტში ან ამ შეთანხმებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ცნობაში აქვთ იგივე მნიშვნელობა დოკუმენტსა და ცნობებში როგორც შეთანხმებაშია;
- მ) ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევა არის „გაგრძელებადი“ თუ ის არ ანაზღაურებულა ან თუ გამსესხებელმა არ გაათავისუფლა მასთან დაკავშირებული ნებისმიერი უფლებები;
- ნ) მითითება მუხლზე ან განრიგთან მიმართებაში უნდა იყოს მითითება ამ შეთანხმების მუხლზე ან განრიგზე; და
- ო) მრავლობითმა სიტყვებმა უნდა მოიცვას სიტყვის მხოლოდითი მნიშვნელობა და პირიქით.

განრიგი 2 - პროგრამის აღწერა

I. პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანი არის საქართველოს მთავრობის სოციალური კეთილდღეობის სექტორის რეფორმის მხარდაჭერა. საბოლოო მიზანი სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხის (PBL) არის საქართველოს სოციალური დაცვის სისტემის გაძლიერება. მისი უშუალო მიზნებია:

- სოციალური მხარდაჭერისა და სოლიდარობის სისტემის განვითარება, კონკრეტულად მოწყვლადი მოსახლეობის ჯგუფებისა (შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები, სახელმწიფო ზრუნვაში არსებული ბავშვები და ქუჩის სიტუაციაში არსებული ბავშვები);
- ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა, ფოკუსირება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამების შესყიდვაზე და ფსიქიკური ჯანდაცვის მომსახურების გაძლიერება და იმ პროცესების გაუმჯობესება, რომლებიც საჭიროა ეპიდემიასთან გასამკლავებლად საერთაშორისო ჯანდაცვის რეგულაციების შესაბამისად;
- რესურსების ოპტიმიზაცია, რომელიც გამოყოფილია იძულებით გადაადგილებულ პირთათვის (IDP), განსახლების პროგრამის დაჩქარება, ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას, რომელიც ეხება სტატუსზე დაფუძნებული განაწილების რეფორმის აუცილებლობას, მოწყვლადი IDP-ებისთვის პროგრამების გაღრმავება.

II. პროგრამის მოცულობა/თვალთახედვა

პროგრამა განსაზღვრულია საორიენტაციო პოლიტიკის მატრიცაში (განრიგი 3), რომელიც აწესებს ღონისძიებების სერიას, რომელიც განხორციელებულ უნდა იქნას საქართველოს მთავრობის მხრიდან იმ რეფორმის დღის წესრიგის ფარგლებში. მატრიცა მოიცავს რვა (8) პოლიტიკურ მიზანს, რომელიც მოცემულია სამ (3) ნაწილად.

- ნაწილი 1. სოციალური მხარდაჭერისა და სოლიდარობის სისტემის განვითარება
 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხარდაჭერის გაღრმავება ხელმისაწვდომობის ფუნქციონალური/სოციალური მოდელის განვითარებით და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭება გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების კონვენციის შესაბამისად.
 - დეინსტიტუციონალიზაციის მეორე ფაზის დანერგვა მძიმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის
 - ახალი მომსახურების შექმნა ქუჩის სიტუაციის ბავშვებისთვის იმისათვის რომ დაცული იყოს მათი უფლებები და ხელი შეუწყოს მათ ინტეგრაციას.
- ნაწილი 2. ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა და ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობა
 - საყოველთაო ჯანდაცვისა და სხვა პროგრამების ეფექტურობის გაუმჯობესება
 - ფსიქიკური ჯანდაცვის მომსახურების გაძლიერება
 - COVID-19-სწრაფი რეაგირებისა და ჯანდაცვის სისტემების მზაობის მხარდაჭერა
- ნაწილი 3. იძულებით გადაადგილებულ პირთათვის გამოყოფილი რესურსების ოპტიმიზაცია
 - საერთო ავარიულ შენობებში (CCC) მცხოვრები იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების დაჩქარება და მსგავსი ცენტრების დახურვა
 - ცნობადობის გაზრდა იძულებით გადაადგილებულ პირთა ყოველთვიური შემწეობების რეფორმის საჭიროების შესახებ
 - მოწყვლად იძულებით გადაადგილებულ პირთა იდენტიფიცირება და დახმარება

ყველა ღონისძიება უნდა იყოს შესრულებული და მიჩნეულ იქნეს, როგორც დასრულებულად. პროგრამის ტექნიკური ასპექტები განხორციელებულია სამი (3) წლის განმავლობაში (2018, 2019 და 2020

წლები). პოლიტიკაზე დაფუძნებული მიმდინარე სესხი არის პროგრამის მესამე წლისთვის. პროგრამის პირველი და მეორე ნაწილი ჩამოირიცხა 2019 წლის იანვარსა და დეკემბერში, შესაბამისად. მოსალოდნელია, რომ მიმდინარე ტრანში არის საბოლოო და შეთანხმებული იქნება AFD-სა და საქართველოს შორის, და ჩამორიცხული 2020 წელს.

პოლიტიკის საორიენტაციო მატრიცა, რომელიც წარმოდგენილია შეთანხმების განრიგ 3-ში განახლდა ორივე მხარისთვის მისაღები ფორმით, სადაც გათვალისწინებული იქნება საქართველოს მთავრობის მიღწევები და პოტენციური ცვლილებები კონტექსტიდან გამომდინარე.

III პროგრამის მონიტორინგი

პროგრამის მონიტორინგი ჩატარდება ღონისძიებებისა და შედეგების ინდიკატორების საფუძველზე, რომელიც წარმოდგენილია საორიენტაციო პოლიტიკის მატრიცაში (იხილეთ ქვემოთ). რეგულარული კონსულტაციები ჩატარდება საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან და სხვა ჩართულ მხარეებთან.

პროგრამის ტექნიკურად დასრულებამდე (მოსალოდნელი თარიღია 2020 წლის 31 დეკემბერი), შესრულების ტექნიკური ანგარიში მომზადდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ნახევარწლიურად, რომელიც მოიცავს პროგრამის განხორციელებას (პროგრესი პოლიტიკის მატრიცაში მოცემული ღონისძიებების შესრულებაზე) და პროგრამის შედეგების ინდიკატორებს. ეს რეპორტები გაზიარებულ იქნება AFD-სთვის წინასწარ შეთანხმებული შესრულების მტკიცებულებასთან ერთად რომელიც მიეწოდება ღონისძიებების შესრულებისთანავე.

განრიგი 3 - პოლიტიკის საორიენტაციო მატრიცა

პოლიტიკის მატრიცა შეიძლება შეიცვალოს AFD-ს და მსესხებელს შორის განხილვებზე დაფუძნებით.

სოციალური კეთილდღეობის მატრიცა – 2020						
მიზნები	პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყება	საწყისი ღონისძიებ(ებ)ა 2018	ღონისძიებ(ებ)ა 2019	ღონისძიებ(ებ)ა 2020	შედეგები (ინდიკატორები, საბაზისო, მიზანი	ტექნიკური დახმარება
ნაწილი 1. სოციალური მხარდაჭერისა და სოლიდარობის სისტემის განვითარება						
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხარდაჭერის გაღრმავება ხელმისაწვდომობის ფუნქციონალური/სოციალური მოდელის განვითარებით და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭება გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების კონვენციის შესაბამისად.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საქართველოს მთავრობამ პარტნიორებთან თანამშრომლობით მიიღო შეფასების მეთოდოლოგია შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის შეფასებისა და მინიჭებისთვის. მეთოდოლოგიის ფარგლებში მოხდა ცვლილებებისა და დამატებითი კითხვარის ადაპტაცია, რომელიც ასახავს ადგილობრივ მახასიათებლებს, ასევე განსაზღვრავს კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ყველა პირმა მიიღოს ადექვატური მომსახურება.	საქართველოს მთავრობამ განსაზღვრა და გადაამზადა პროფესიონალები, რომლებიც შეძლებენ ახალი მეთოდოლოგიით შეფასების ჩატარებას. მეორე საპილოტე პროექტი შეფასების ახალი მეთოდოლოგიის დასატესტად, რომელიც დაიწყება სამცხე ჯავახეთში	საპილოტე პროექტი შეფასების ახალი მეთოდოლოგიის დასატესტად განხორციელდება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შემუშავებულია საკანონმდებლო ჩარჩო საპილოტე პროექტის დასაწყებად საკანონმდებლო ჩარჩოს ცვლილებები მეთოდოლოგიის დასახვეწად მომზადებული და მოწონებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ და გამზადებულია მთავრობაზე დასამტკიცებლად წარსადგენად;	სისტემა მზადაა დასაწყებად საბაზისო (2017): > არ არსებობს შეფასების მეთოდოლოგია; > არ არსებობს გადამზადებული პროფესიონალები, რომლებიც ჩაატარებენ კვლევას; > არ არსებობს ახალი მეთოდოლოგიისთვის საკანონმდებლო საფუძველი მიზანი (2020): > შექმნილია ახალი ინსტრუმენტი; > სულ მცირე 20 პროფესიონალის გადამზადება; > საკანონმდებლო ჩარჩო მომზადებულია; > ბავშვებისა და მოზარდებისთვის მეთოდოლოგია დამტკიცებულია	
დეინსტიტუციონალიზაციის მეორე ფაზის დაწერვა მძიმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის		თბილისში გაიხსნა ახალი სპეციალიზებული საოჯახო ტიპის საცხოვრებელიდან მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის	ფუნქციონირებადი სპეციალიზებული საოჯახო ტიპის საცხოვრებელიდან მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის	იმისთვის რომ შენარჩუნებულ იქნეს მომსახურებების ხარისხი, რეგულარულად ჩატარდა სტანდარტების მონიტორინგი (მათ შორის შემთხვევითი ინსპექტირება) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ და რეკომენდაციები იქნა	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების რაოდენობა, რომელთაც მიეწოდებათ ალტერნატიული ზრუნვა (სპეციალიზებული საოჯახო ტიპის საცხოვრებელი მომსახურება და მინდობით აღზრდა); დიდ სახლებში მყოფი ბავშვების	

		ხარისხის სპეციალიზებული მომსახურება.	სამინისტროს მიერ დამტკიცებულია ახალი სტანდარტები სახელმწიფოს ზრუნვის ქვეშ მყოფი მძიმე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის.	გაცემული სახელმწიფოს მზრუნველობაში არსებული მძიმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის საოჯახო ტიპის ზრუნვის გასაგრძელებად.	რაოდენობის შემცირება (ჩვილ ბავშვთა სახლი): საბაზისო (2017): > 7 ბავშვი სპეციალიზებული ზრუნვის მქონე პატარა ჯგუფურ სახლში ; > 53 ბავშვი სახელმწიფო სახლში (ჩვილ ბავშვთა სახლი); > სტანდარტების არარსებობა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის საცხოვრებლის მომსახურებისთვის; მიზანი (2020): > სულ მცირე 14 ბავშვი სპეციალიზებული საოჯახო ტიპის საცხოვრებელში; > ბავშვები სახელმწიფო საცხოვრებელში (ჩვილბავშვთა სახლი) - მაქსიმუმ 45; > სტანდარტები დამტკიცებულია, მონიტორინგი ჩატარებულია და რეკომენდაციები გადაგზავნილია;	
ახალი მომსახურების შექმნა ქუჩის სიტუაციის ბავშვებისთვის იმისათვის რომ დაცული იყოს მათი უფლებები და ხელი შეეწყოს მათ ინტეგრაციას.		ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის მექანიზმის გასაუმჯობესებლად, კვლევა ჩატარდა (გაეროს ბავშვთა ფონდის დაკვეთით) რათა შეფასდეს სფერო, ხასიათი და ძირეული მიზეზები ქუჩის სიტუაციაში მყოფი ბავშვებისა. გაანალიზდება ნებისმიერი	კვლევაზე დაყრდნობით, მთავრობა შესთავაზებს ახალ სტანდარტისა, რომელიც გააუმჯობესებს ქუჩის სიტუაციის მქონე ბავშვებისთვის მიწოდებული მომსახურების ხარისხს.	სტანდარტები დამტკიცებულია მთავრობის მიერ და მონიტორინგი ჩატარებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რათა უზრუნველყოფილი იყოს ხარისხის კონტროლი.	ქუჩის ბავშვების რაოდენობის დარეგისტრირება საბაზისო (2017): > 332 იდენტიფიცირებული ბავშვი > მიზანი (2020): 600 ახალი ბავშვია იდენტიფიცირებული 2018-2019-2020 წლებში იმ ბავშვების რაოდენობა და პროცენტულობა, რომელთაც	

		გენდერული საკითხი, რომელიც წამოიჭრება რეპორტიდან.			უსარგებლიათ დღიური მომსახურების ცენტრებით და 24 საათიანი მომსახურების თავშესაფრით: > საბაზისო (2017): 270 ბავშვი, 81% > მიზანი (2020): სულ მცირე 540 ბავშვს უსარგებლია დღიური მომსახურების ცენტრებით და 24 საათიანი მომსახურების თავშესაფრით 2018-2019-2020 წლებში, რაც წარმოადგენს ამ პერიოდის განმავლობაში ახალი იდენტიფიცირებული ბავშვების მთლიანი ოდენობის სულ მცირე 90%-ს იმ ბავშვების რაოდენობა, რომელიც წარმატებით იქნა მოშორებული ქუჩას > საბაზისო (2017): 26 > მიზანი (2020): სულ მცირე 80 ბავშვი წარმატებით არს მოშორებული ქუჩას 2018-2019-2020 წლების განმავლობაში	
ნაწილი 2. ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა და ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობა						
საყოველთაო ჯანდაცვისა და სხვა პროგრამების ეფექტურობის გაუმჯობესება	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საყოველთაო ჯანდაცვის ეფექტურობის გაუმჯობესების თვალსაზრისით მთავრობამ ჩაატარა გარე კვლევა იმისთვის რომ მოეხდინა იდენტიფიცირება მოსახლეობის იმ ჯგუფისა, რომლებიც არ არიან ადექვატურად მოცულები და არსებული ჯანდაცვის სისტემის მთავარი ხარვეზების	შეფასებაზე დაყრდნობით მთავრობა შეიმუშავებს შესყიდვის სტრატეგიულ მექანიზმს (შესყიდვის მომსახურების კონტრაქტების პრინციპების განვითარება) იმისთვის რომ გაუმჯობესდეს საყოველთაო ჯანდაცვა და მასთან დაკავშირებული ჯანდაცვის სხვა პროგრამები	შემოთავაზებული შესყიდვის მექანიზმები პილოტირებულია და გატარებულია ღონისძიებები საყოველთაო ჯანდაცვის ეფექტურობის გაუმჯობესებისთვის, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ზრუნვისა და ხარჯების შეკავების მეთოდის ხარისხს	ჯიბიდან გადახდილი ხარჯები წამლებზე: > საბაზისო (2016): 64% > მიზანი (2021): 58% მთავრობის საერთო ხარჯები ჯანდაცვაზე პროცენტულად ჯანდაცვის მიმდინარე ხარჯებთან (GGHE-D პროცენტულად CHE-სთან) > საბაზისო (2016): 38% > მიზანი (2020): 40%	> საყოველთაო ჯანდაცვის ეფექტურობა > ზრუნვის ხარისხი > ხარჯის შეკავების მექანიზმი

		(გეოგრაფიული უთანასწორობა, წამლებზე და მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა, ხარჯების გაზრდა, გადახდის მექანიზმის გამოწვევები, მკურნალობის ხარისხი და ა.შ.)		- პირველადი დახმარების მომსახურების ახალი საკონტრაქტო მექანიზმი ამუშავებულია 2020 წლის დეკემბრისთვის: - ჯანდაცვის სისტემის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პროექტი შემუშავებულია - გადახდის მექანიზმები ნეიროქირურგიის, ოფთალმოლოგიისა და ოტორინოლარინგოლოგიის მომსახურებაზე ამუშავებულია - DRG-ის განხორციელების პროცესი გაგრძელებულია იმისათვის, რომ პილოტირება დაიწყოს 2021 წელს, ხოლო ეროვნული დონის ფართო მასშტაბის იმპლემენტაცია 2022 წელს		
ფსიქიკური ჯანდაცვის მომსახურების გაძლიერება	მთავრობამ ჩაატარა კვლევა, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ტექნიკური დახმარებით, მიმდინარე ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურებისა და პაციენტის უფლებების დაცვის მექანიზმების ანალიზისთვის, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და დასტანდარტების მიმართულებით.	საწყისი ინიციატივები განხორციელდა დეინსტიტუციონალიზაციის მხარდასაჭერად და საოჯახო მომსახურების განვითარებისთვის (საქართველოს მთავრობის 2014 წლი N762 ბრძანებით მიღებული ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად)	საქართველოს მთავრობას მოამზადა ფსიქიკური ჯანმრთელობის კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად (შემოთავაზებული კანონმდებლობა დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის/მინისტრის მიერ)	ბიუჯეტი რომელიც ეძღვნება ფსიქიკურ დაავადებებს	> ევროკავშირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ზრუნვა და კანონმდებლობა	
	კვლევა ასევე სთავაზობს რეკომენდაციებს თუ როგორ იქნას გაუმჯობესებული არსებული მოდელი და როგორ მიეწოდოს	მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება ადამიანთა უფლებების დასაცავად ფსიქიკური ჯანმრთელობის ინსტიტუტებში (საჯარო და კერძო)	2020 წლის ივნისისთვის ცვლილებების პროექტები შემუშავებულია	> საბაზისო (2017): 16,000,000 ლარი > მიზანი (2020): 20%-ით ზრდა		
			2020 წლის დეკემბრისთვის კანონის პროექტი დასრულებულია და დამტკიცებულია მთავრობის მიერ	ჰოსპიტალიზაციის შემდგომი პერიოდის ამბულატორიული მომსახურების უწყვეტობის უზრუნველყოფა		
				> საბაზისო (2017): 37% > მიზანი (2020): 50%		

		მოსახლეობას გაუმჯობესებული მომსახურება.				
COVID-19-ზე სწრაფი რეაგირება და ჯანდაცვის სისტემების მზაობა				სწრაფი რეაგირება COVID-19-ზე: ეროვნული ჯანდაცვის სისტემას აქვს შესაძლებლობა, უზრუნველყოს დაუყოვნებლივი მხარდაჭერა დაავადების გამოვლენის უნარების გაძლიერებაში ზედამხედველობის შესაძლებლობების გაზრდით, ტექნიკური ექსპერტული ცოდნის მიწოდებით, ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური სისტემების გაუმჯობესებით, იმისათვის რომ უზრუნველყოფილ იქნას შემთხვევების სწრაფი აღმოჩენა და ლოკალური შეკავება. ჯანდაცვის გაძლიერება: ეროვნული ჯანდაცვის სისტემა აძლიერებს არსებითი/სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ჯანდაცვის მომსახურების მიწოდებას იმისათვის, რომ შეძლოს დაზარალებული მოსახლეობისთვის მაქსიმალურად კარგი მომსახურების გაწევა	მიზანი: 7 (შვიდი) საჯარო და კერძო ლაბორატორიას შეუძლია COVID-19-ით ინფიცირებული მოსახლეობის გამოვლენა, PCR მეთოდით მიზანი: 3732 (სამი ათას შვიდას ოცდათორმეტი) საწოლის ხელმისაწვდომობა, COVID-19-ზე რეაგირების ფარგლებში 967 (ცხრა ას სამოცდაშვიდი) საწოლი ინტენსიური მოვლისათვის, განსაკუთრებულად მძიმე შემთხვევებისთვის	>
ნაწილი 3. იძულებით გადაადგილებულ პირთათვის გამოყოფილი რესურსების ოპტიმიზაცია						
საერთო ავარიულ შენობებში (CCC) მცხოვრები იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების დაჩქარება და მსგავსი ცენტრების დახურვა	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	დაიხურა სულ ცოტა 20 საერთო ავარიული შენობა და იქ კანონიერად მაცხოვრებელი, (დაახლოებით 350) იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახი განთავსდა ადეკვატურ საცხოვრებელში,	დამატებით, სულ ცოტა 20 საერთო ავარიული შენობა იქნა დახურული და იქ კანონიერად მაცხოვრებელი, დაახლოებით, 350 იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახი განთავსდა ადეკვატურ საცხოვრებელში, შეფასების პერიოდის ბოლო 12 თვის განმავლობაში.	შეფასების დროისთვის, ბოლო 12 თვის განმავლობაში განხორციელდა დამატებით 350 დევნილი ოჯახის გრძელვადიანი განსახლება მინიმუმ 20 წარუვადი ობიექტიდან. 2020 წლის ივნისის თვემდე, სამინისტრო მოამზადებს შუალედურ განმარტებას, სადაც წარმოდგენილი იქნება იმ ოჯახთა რაოდენობა,	პოლიტიკის მიზანი: ყველა იძულებით გადაადგილებული პირი ცხოვრობს ისეთ საცხოვრებელში, რომელიც უსაფრთხოა მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. საბაზისო: დაახლოებით 2,500 იძულებით გადაადგილებულ პირთა	

		შეფასების პერიოდის ბოლო 12 თვის განმავლობაში.		რომელთა განსახლება უკვე განხორციელდა.	ოჯახი ცხოვრობს 110 საერთო ავარიულ შენობაში (2018) მიზანი: 2020 წლის ბოლოსთვის, სულ ცოტა 1,050 იძულებით (45%) გადაადგილებულ პირთა ოჯახი, რომლებიც 2018 წლის განმავლობაში კანონიერად ცხოვრობენ საერთო ავარიულ შენობებში, განთავსებულ იქნა ადეკვატურ საცხოვრებელში.	
ცნობადობის გაზრდა იძულებით გადაადგილებულ პირთა ყოველთვიური შემწეობების რეფორმის საჭიროების შესახებ	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაგეგმა ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ტექნიკური დახმარებით და გაიმართა სულ ცოტა 15 საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრა, რომელშიც ჩართული იყო ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე, განსაკუთრებით იძულებით გადაადგილებული პირები და მათი წარმომადგენლები. (CSOs).	იმისათვის, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთათვის განკუთვნილი ყოველთვიური შემწეობა უკეთ მოერგოს იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებებს, საქართველოს მთავრობა 2019 წელს განაგრძობს კონსულტაციებს საზოგადოების უფრო ფართო ჯგუფებთან, განსაკუთრებით, იძულებით გადაადგილებულ პირებთან, რათა მიღწეულ იქნას კონსენსუსი იძულებით გადაადგილებული პირებისთვის განკუთვნილი ყოველთვიური შემწეობის მისაღებ მოდელთან დაკავშირებით. კამპანიის დასასრულს, მიღებული გამოხმაურების თანახმად, და პოლიტიკის კონსულტანტის მხარდაჭერით, მომზადდა და გამოქვეყნდა ანგარიში, რომელიც სთავაზობს პოლიტიკის არჩევანს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის განკუთვნილი ყოველთვიური შემწეობის რეფორმასთან დაკავშირებით	2020 წლის ივნისამდე: - 2019-2020 წლის დასაწყისში განხორციელებული საკონსულტაციო კამპანიის ანგარიში დასრულებულია. - სხვადასხვა მოდელის სოციალური და იურიდიული გავლენა შეფასებულია. - აღნიშნული ანალიზის საფუძველზე, პოლიტიკის მოდელები დამუშავდა უფრო დეტალურად და ხარჯების დათვლა განხორციელდა. სამინისტრომ შემოიღო რეფორმის ძირითადი მონახაზი განესაზღვრა, რაც საფუძვლად დაედება კანონპროექტს. - კანონპროექტის განხორციელების მხარდასაჭერად შემუშავებულია კომუნიკაციის სტრატეგიის სამუშაო ვერსია, სადაც აქცენტი გაკეთებულია შესაბამისი დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით კი დევნილებისა და მათი წარმომადგენლების (სამოქალაქო საზოგადოება) ჩართულობაზე,	პოლიტიკის მიზანი: ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის ცნობიერება ამაღლებულია იძულებით გადაადგილებულ პირთა ყოველთვიური შემწეობის სისტემის რეფორმირების საჭიროების შესახებ. ინდიკატორი შეთავაზებულ რეფორმასთან დაკავშირებით კარგად ინფორმირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა სავარაუდო პროცენტული მაჩვენებელი (სატელეფონო ინტერვიუ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსმიერ შერჩეულ წარმომადგენელთან რეფორმის არსთან დაკავშირებით ძირითადი შეკითხვებით)	

				2020 წლის დეკემბრამდე: - რეფორმის კანონპროექტი მომზადებულია.	საბაზისო: <10 % (შეფასება უნდა დადასტურდეს)) მიზანი: სულ ცოტა 33%	
მოწყვლად იძულებით გადაადგილებულ პირთა იდენტიფიცირება და დახმარება	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	ჩატარდა კვლევა მოწყვლადობების იდენტიფიცირების მიზნით იძულებით გადაადგილებულ პირებში და კონკრეტულად იმ პირებში, რომლებიც ვერ მოხვდნენ მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამაში.	კვლევის შედეგების თანახმად და იძულებით გადაადგილებულ პირთა ყოველთვიური შემწეობის პოლიტიკის შემუშავების პარალელურად, შემუშავდა დახმარების პროგრამა იმ მოწყვლადი იძულებით გადაადგილებული პირებისთვის, რომლებზეც, შესაძლოა, რეფორმა გავლენა ახდენდეს და ვერ ხვდებოდნენ მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამაში, და დამტკიცებულ იქნა სამინისტროს მიერ. იდენტიფიცირებულია სამიზნე მოსახლეობა და ხელმისაწვდომია ბენეფიციარების სავარაუდო რაოდენობა.	შემოთავაზებული დახმარების პროგრამა საპილოტე რეჟიმში განხორციელდა 200 მოწყვლადი დევნილისთვის, იმ მიზნით, რომ მისი ფართო გამოყენება მოხდეს, როცა რეფორმა დამტკიცებული იქნება პარლამენტის მიერ. უფრო ზუსტად, 2020 წლის ივნისამდე: - 200 დევნილის შერჩევის კრიტერიუმების შემუშავება დასრულდა და დამტკიცებულ იქნა სამინისტროს მიერ. - დევნილთა სამოქმედო გეგმა, სადაც დახმარების პროგრამა არის წარმოდგენილი, დამტკიცებულია მთავრობის მიერ. 2020 წლის დეკემბრამდე: - შერჩევის კომისიამ შეარჩია 200 დევნილი დამტკიცებული კრიტერიუმების საფუძველზე. პროგრამა განხორციელებულია.	პოლიტიკის მიზანი: გაუმჯობესებული მხარდაჭერა უზრუნველყოფილია იმ მოწყვლადი იძულებით გადაადგილებული პირებისთვის, რომლებიც ვერ ხვდება მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამაში. საბაზისო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ახორციელებს სხვადასხვა პროგრამას, მაგრამ არც ერთი მათგანი სამიზნედ არ ასახელებს იმ იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებიც ვერ ხვდებიან მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამაში. მიზანი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ეხმარება სულ ცოტა 200 მოწყვლად იძულებით გადაადგილებულ პირს რომელიც, შესაძლოა,	საარსებო წყაროების არსებული სახელმწიფო პროგრამების შეფასება მოწყვლადი იძულებით გადაადგილებული პირების მოთხოვნებიდან გამომდინარე. რეკომენდაციების შემუშავება. სამეთვალყურეო საბჭოსთვის და სამინისტროთაშორისო საბჭოსთვის რეკომენდაციების წარდგენა მხედველობაში მისაღებად. საერთაშორისო გამოცდილება აქტიური შრომითი ბაზრის პოლიტიკაზე მოწყვლადი მოსახლეობისთვის.

					შეწყდეს იბულებით გადაადგილებულ პირთა ყოველთვიური შემწეობის მიღებისთანავე და რომლებიც ვერ მიიღებენ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას.	
--	--	--	--	--	--	--

განრიგი 4 - წინაპირობები

შემდეგი შეესაბამება ყველა დოკუმენტს, რომლებსაც მსესხებელი წარმოადგენს როგორც წინასწარ პირობებს:

- თუ წარმოდგენილი დოკუმენტი არის ასლი და არა ორიგინალი, ორიგინალი დამოწმებული ასლი უნდა იყოს წარდგენილი გამსესხებლისადმი;
- დოკუმენტის საბოლოო ვერსია, რომლის გეგმაც წინასწარ იყო გაგზავნილი და შეთანხმებული გამსესხებლის მიერ არ უნდა განსხვავდებოდეს შეთანხმებული წინასწარი გეგმისგან;
- წინასწარ გაუგზავნილი და შეთანხმებული დოკუმენტები დამაკმაყოფილებელი უნდა იყოს გამსესხებლისთვის.

ნაწილი I-წინასწარი პირობები დაკმაყოფილებული უნდა იყოს ხელმოწერის დღეს

ა) მსესხებლის მიერ გამსესხებლისადმი შემდეგი დოკუმენტების წარდგენა:

- საქართველოს მთავრობის განკარგულების დამოწმებული ასლი ფინანსთა სამინისტროს მიერ ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების პირობების და წესების და ასევე ფინანსური პირობების შესახებ;
- საქართველოს პრემიერ მინისტრის ბრძანების დამოწმებული ასლი საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბატონი ივანე მაჭავარიანის დანიშვნის შესახებ #234, 2018 წლის 12 ივლისი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბატონი ივანე მაჭავარიანის პასპორტის დამოწმებული ასლი ხელმოწერის ნიმუშთან ერთად;
- სერთიფიკატი, რომელიც გამოცემულია მსესხებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ რომლითაც წარმოდგენილია ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის სია, მსესხებლის სახელით მსესხებლის სახელით ხელი მოაწეროს ჩამორიცხვის მოთხოვნებს და ამ შეთანხმებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სერტიფიკატს და მიიღოს ყველა სხვა ზომა და/ან ხელი მოაწეროს ყველა სხვა საჭირო დეკუმენტს მსესხებლის სახელით აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში;
- iv პუნქტში მოცემულ სერტიფიკატში ჩამოთვლილი ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირთა სია; და
- წერილი, რომელსაც აწერს ხელს ფინანსთა სამინისტრო, რომელიც ადასტურებს, რომ სესხის ჩმორიცხვა არ დაარღვევს სესხის აღების ლიმიტს, ან სხვა მსგავს ლიმიტს რომელიც სავალდებულოა მსესხებლისთვის.

ბ) სამართლებრივი დასკვნის მიწოდება გამსესხებლისათვის, მსესხებლის იურისდიქციის ქვეშ არსებული გამსესხებლის მიერ შერჩეული კარგი რეპუტაციის მქონე იურიდიული ფირმის მიერ გამსესხებლისათვის მისაღები ფორმითა და შინაარსით.

ნაწილი II-ჩამორიცხვის წინასწარი პირობები

მსესხებლის მიერ გამსესხებლისთვის შემდეგი დოკუმენტების წარდგენა:

- საქართველოს პარლამენტის დადგენილების დამოწმებული ასლი შეთანხმების რატიფიცირებასთან დაკავშირებით;
- ფინანსთა სამინისტროს მიერ ხელმოწერილი წერილი, სადაც მოცემულია, რომ შეთანხმება ასახულია საქართველოს სახელმწიფო სესხების რეესტრში;
- ფინანსთა სამინისტროს მიერ ხელმოწერილი წერილი, რომელიც ადასტურებს რომ რესურსი შედის მსესხებლის შესაბამის წლიურ ბიუჯეტში;

(iv) ტექნიკური პროგრესის რეპორტი ჩამორიცხვის მოთხოვნის დღეს ადასტურებს 2020 წლის პირველი ნახევრისთვის შეთანხმებული ღონისძიებების შესრულებას, რომლებიც მისაღებია გამსესხებლისთვის.

- ბ) სესხის გამცემის მიერ გაკეთებული დამოუკიდებელი და დადებითი შეფასება იმის შესახებ, რომ 2019 წლის პროგრამა სათანადოდ იქნა შესრულებული ბენეფიციარის მიერ.
- გ) სამართლებრივი დასკვნის მიწოდება გამსესხებლისათვის, მსესხებლის იურისდიქციის ქვეშ არსებული გამსესხებლის მიერ შერჩეული კარგი რეპუტაციის მქონე იურიდიული ფირმის მიერ გამსესხებლისათვის მისაღები ფორმითა და შინაარსით.
- დ) მსესხებლის მიერ გამსესხებლისათვის მიმდინარე შეთანხმების ფარგლებში ყველა ვადადამდგარი და გადასახდელი ხარჯის გადახდა.

განრიგი 5ა - რესურსის ჩამორიცხვის ფორმა

[მსესხებლის წერილის ფორმა]

მიმღები: საფრანგეთის განვითარების სააგენტო

[თარიღი]

მსესხებლის სახელი- საკრედიტო შეთანხმება № [●] დათარიღებული [●]

ჩამორიცხვის მოთხოვნა № [●]

ძვირფასო ბატონო,

- ჩვენ ვსაუბრობთ მსესხებელსა და გამსესხებელს შორის არსებულ საკრედიტო შეთანხმებაზე № [●], რომელიც დათარიღებულია [●] („შეთანხმება“). აქ გამოყენებულ, მაგრამ განუმარტებელ სიტყვებსა და გამონათქვამებს აქვთ იგივე მნიშვნელობა როგორც შეთანხმებაშია.
- ჩვენ შეუცვლელად მოვითხოვთ, რომ კრედიტორმა გახადოს ხელმისაწვდომი ჩამორიცხვა შემდეგი პირობებით:

რაოდენობა: სამოცდაათი მილიონი ევრო (70 000 000 ევრო)

საპროცენტო განაკვეთი: [ფიქსირებული/მცურავი]

- საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრული იქნება შეთანხმების მე-4 მუხლით (პროცენტი) და მე-5 მუხლით (პროცენტის კალკულაციის ცვლილება) ჩამორიცხვის მოთხოვნის შესაბამისი საპროცენტო განაკვეთი წარმოდგენილი იქნება წერილობით და ჩვენ მივიღებთ ამ საპროცენტო განაკვეთს (ქვედა აბზაცის მიხედვით, თუ შესაძლებელია), იმ საპროცენტო განაკვეთის ჩათვლით, რომელიც განსაზღვრულია ჩანაცვლების მაჩვენებელზე მითითებით, რეგულირების მარჯის დამატებით, როგორც ამის შესახებ ეცნობება გამსესხებელს, როცა საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების შემთხვევას ექნება ადგილი.

[მხოლოდ ფიქსირებული განაკვეთისთვის]: თუ ჩამორიცხვის შესაბამისი საპროცენტო განაკვეთი იქნება მეტი ვიდრე [●საპროცენტო განაკვეთი სიტყვიერად] ([●]%), ჩვენ მოვითხოვთ, რომ გააუქმონ ჩამორიცხვის ეს მოთხოვნა.

- ჩვენ ვადასტურებთ, რომ თითოეული პირობა განსაზღვრული 2.4 მუხლში (წინაპირობები) ჩამორიცხვის მოთხოვნის დღეს არის დაკმაყოფილებული და არ გრძელდება ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევა ან არის მოსალოდნელი რომ მოხდეს. ჩვენ თანახმა ვართ, რომ გამსესხებელს ვაცნობთ თუ ნებისმიერი ზემოთ ხსენებული პირობა არ დაკმაყოფილდა ჩამორიცხვის დღეს ან წინასწარ.

- ჩამორიცხვის პროცესები უნდა დაირიცხოს შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

- სახელი [მსესხებლის]: [●]
- მისამართი [მსესხებლის]: [●]
- IBAN ანგარიშის ნომერი: [●]
- SWIFT ნომერი: [●]
- ბანკი და ბანკის მისამართი [მსესხებლის]: [●]
- შესაბამისი ბანკი და მსესხებლის ბანკის ანგარიში ნომერი: [●]

- ჩამორიცხვის მოთხოვნა არის შეუქცევადი.

- ჩამორიცხვის მოთხოვნას ჩვენ თან ვურთავთ ყველა შესაბამისი დოკუმენტს განსაზღვრულს შეთანხმების 2.4 მუხლში (წინაპირობები).

[დოკუმენტების ჩამონათვალი]

პატივისცემით,

.....

მსესხებლის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

განრიგი 5ბ - ჩამორიცხვის და განაკვეთის დადასტურების ფორმა

[საფრანგეთის განვითარების სააგენტოს წერილის ფორმა]

მიმღები: [მსესხებელი]

[თარიღი]

შესახებ: ჩამორიცხვის მოთხოვნა n° [●] დათარიღებული [●]

მსესხებლის სახელი- საკრედიტო შეთანხმება n° [●] დათარიღებული [●]

ჩამორიცხვის დადასტურება n° [●]

ძვირფასო ბატონო,

8. ჩვენ ვსაუბრობთ მსესხებელსა და გამსესხებელს შორის არსებულ საკრედიტო შეთანხმებაზე n° [●], რომელიც დათარიღებულია [●] („შეთანხმება“). აქ გამოყენებულ, მაგრამ განუმარტებელ სიტყვებსა და გამონათქვამებს აქვთ იგივე მნიშვნელობა როგორც შეთანხმებაშია.

9. ჩამორიცხვის მოთხოვნის წერილის დათარიღებული [●] შესაბამისად, მსესხებელმა მოითხოვა, რომ გამსესხებელმა ხელმისაწვდომი გახადოს ჩამორიცხვის რაოდენობა 70 000 000 ევრო, შეთანხმების ვადებისა და პირობების შესაბამისად.

10. ჩამორიცხვა, რომელიც გახდა ხელმისაწვდომი თქვენი ჩამორიცხვის მოთხოვნის შესაბამისად არის შემდეგი:

- რაოდენობა: სამოცდაათი მილიონი ევრო (70 000 000 ევრო)
- შესაბამისი წლიური საპროცენტო განაკვეთი: [●პროცენტი სიტყვიერად] ([●]%) [ექვსთვიანი EURIBOR-ის ჯამის ტოლი [●პროცენტი სიტყვიერად] ([●]%) წლიური]¹ და მარჟა²
- ეფექტური გლობალური განაკვეთი (წლიური): [●პროცენტი სიტყვიერად] ([●]%)
- ჩამორიცხვის თარიღი: [●]

[მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის სესხისთვის]

მხოლოდ ინფორმაციის მიზნით:

- განაკვეთის დადგენის თარიღი: [●]
- ფიქსირებული მითითებული განაკვეთი: [●პროცენტი სიტყვიერად] ([●]%) წლიური
- მოქმედი საერთო (Global) კურსი (წლიური): [●პროცენტი სიტყვიერად] ([●]%)
- ინდექსირებული განაკვეთი: [●პროცენტი სიტყვიერად] ([●]%) წლიური
- ინდექსირებული განაკვეთი განაკვეთის დადგენის თარიღისთვის: [●პროცენტი სიტყვიერად] ([●]%) წლიური

პატივისცემით,

.....

¹ იმ შემთხვევაში, თუ ექვსთვიანი EURIBOR არ არის ხელმისაწვდომი ჩამორიცხვის დადასტურების თარიღისას საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების შემთხვევის გამო, ჩანაცვლების მაჩვენებელი, ამგვარი საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების მაჩვენებლით შეცვლის ზუსტი ვადები და პირობები და შესაბამისი მოქმედი საერთო განაკვეთები ეცნობება მსესხებელს სპეციალური წერილით.

² წაიშლება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში

[ზემოთ მითითებული საპროცენტო განაკვეთი, შესაძლოა, შეიცვალოს შეთანხმების 4.1.3(i) მუხლის (განაკვეთის კონვერსია მსესხებლის მოთხოვნის საფუძველზე) და 5.2. მუხლის (საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლება) დებულებების შესაბამისად.]³

საფრანგეთის განვითარების სააგენტოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

³ წაიშლება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში

განრიგი 5გ - კონვენსიის მოთხოვნის ფორმა

[მსესხებლის წერილის ფორმა]

მიმღები: საფრანგეთის განვითარების სააგენტო

[თარიღი]

მსესხებლის სახელი- საკრედიტო შეთანხმება n° [●] დათარიღებული[●]

განაკვეთის კონვენსიის მოთხოვნის ფორმა n°[●]

ძვირფასო ბატონო,

11. ჩვენ ვსაუბრობთ მსესხებელსა და გამსესხებელს შორის არსებულ საკრედიტო შეთანხმებაზე n° [●], რომელიც დათარიღებულია [●] („შეთანხმება“). აქ გამოყენებულ, მაგრამ განუმარტებელ სიტყვებსა და გამონათქვამებს აქვთ იგივე მნიშვნელობა როგორც შეთანხმებაშია.

12. შეთანხმების 4.1.3 (i) მუხლის (მცურავი საპროცენტო განაკვეთის ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთად კონვერსია) შესაბამისად, ჩვენ ვითხოვთ, რომ მოახდინოთ კონვერსია შემდეგი ჩამორიცხვის მცურავი საპროცენტო განაკვეთის:

- [ჩამორიცხვის რაოდენობა და ჩამორიცხვის თარიღი]

ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთად შეთანხმების პირობების შესაბამისად.

13. განაკვეთის კონვენსიის მოთხოვნა ჩაითვლება ბათილად და ანულირდება თუ შესაბამისი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი გადაჭარბებს [●პროცენტი სიტყვიერად] ([●]%).

პატივისცემით,

მსესხებლის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

განრიგი 5დ - კონვენსიის დადასტურების ფორმა

[საფრანგეთის განვითარების სააგენტოს წერილის ფორმა]

მიმღები: [მსესხებელი]

[თარიღი]

შესახებ: განაკვეთის კონვენსიის მოთხოვნა n° [●] დათარიღებული [●]

მსესხებლის სახელი- საკრედიტო შეთანხმება n° [●] დათარიღებული [●]

განაკვეთის კონვენსიის დადასტურება n° [●]

ძვირფასო ბატონო,

სუბიექტი: მცურავი საპროცენტო განაკვეთის ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთად კონვერსია

14. ჩვენ ვეხებით მსესხებელსა და გამსესხებელს შორის არსებულ საკრედიტო შეთანხმება n° [●] დათარიღებულს [●] („შეთანხმება“). აქ გამოყენებულ, მაგრამ განუმარტებელ სიტყვებსა და გამონათქვამებს აქვთ იგივე მნიშვნელობა როგორც შეთანხმებაშია.
15. ჩვენ აგრეთვე ვეხებით თქვენს განაკვეთის კონვენსიის მოთხოვნას დათარიღებულს [●]. ჩვენ ვადასტურებთ, რომ განაკვეთის კონვენსიის მოთხოვნაში მითითებული ჩამორიცხვის შესაბამისი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი არის ამ შეთანხმების 4.1.3 i) მუხლის(მცურავი საპროცენტო განაკვეთის ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთად კონვერსია) შესაბამისი:
 - [●]% წლიურად
16. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი გამოთვლილია მუხლი 4.1.1 (საპროცენტო განაკვეთის არჩევა) შესაბამისად, შეესაბამება ჩამორიცხვას მითითებულს თქვენი კონვენსიის მოთხოვნაში [●] (ეფექტური თარიღიდან).
17. გარდა ამისა, ჩვენ გაცნობებთ, რომ რესურსის წლიური ეფექტური გლობალური განაკვეთი არის [●]%.
პატივისცემით,

საფრანგეთის განვითარების სააგენტოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

**განრიგი 6 - ინფორმაცია, რომელიც შეძლება გამოქვეყნებულ იყოს საფრანგეთის მთავრობის ვებ-გვერდზე
და კრედიტორის ვებ-გვერდზე**

1. ინფორმაცია პროგრამის შესახებ
 - AFD-ს წიგნის ნომერი და სახელი;
 - აღწერა;
 - ოპერაციული სექტორი;
 - დანერგვის ადგილი;
 - მოსალოდნელი დაწყების თარიღი;
 - დანერგვის სტატუსი განახლებული ნახევარწლიურად;
2. პროგრამის დაფინანსებასთან დაკავშირებული ინფორმაცია
 - დაფინანსების ტიპი (სესხი, გრანტი, თანადაფინანსება, დელეგირებული ფულადი სახსრები);
 - რესურსის ძირითადი თანხა;
 - რესურსის რაოდენობა, რომელიც ჩამოირიცხა (განახლებული პროგრამის დანერგვის მიმდინარეობის შესაბამისად);
3. სხვა ინფორმაცია
 - ცნობები ტრანზაქციების შესახებ და/ან განრიგზე დართული ტრანზაქციების ცხრილი.

განრიგი 6-1 გადარიცხვის ინფორმაციის შეტყობინება

პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხი სოციალური დაცვის მხარდასაჭერად საქართველოში

პროგრამის კონტექსტი და ძირითადი სტრატეგიული საკითხები

1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველომ გაიარა რთული პოლიტიკური და ეკონომიკური გარდამავალი პერიოდი რომელმაც ზეგავლენა მოახდინა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სისტემაზე.

სოციალური დაცვის ახალი სისტემა წამოწყებულ იქნა 2006 წელს მიზნობრივი სოციალური დახმარების (TSA) სისტემის გაცნობით, რაც არის დატესტილი სისტემა. 2015 წელს შეფასების მეთოდოლოგია, ქულა და სარგებელი თანხები შეიცვალა, რომ მორგებოდა ყველაზე მოწყვლადი მოსახლეობის-ბავშვების საჭიროებებს. პროგრამა ასევე დაემატა ბავშვის სარგებელს, რომელიც ასევე დატესტილია. ამჟამად დაახლოებით მოსახლეობის 12% სარგებლობს სისტემით.

უფრო მეტიც, აღნიშნული სირთულეებისას, რომელიც უკავშირდებოდა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას ექსკლუზიურად კერძო კომპანიების მხრიდან, მთავრობამ წამოიწყო უნივერსალური ჯანდაცვის სისტემა (UHC) 2013 წელს ინტიგრირება მოხდა სახელმწიფო დაზღვევის პროგრამისა, რომელიც წამოწყებულ იქნა 2007 წლიდან, ძირითადად მიმართული იყო ყველა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეებზე. ახლა ეს მოიცავს მოსახლეობის 90%-ს. ჯიბიდან გადახდილი ხარჯები დაეცა 79%-დან 59%-მდე ამ პროგრამის ამოწმების შემდეგ. თუმცა სისტემის საერთო ხარჯი მნიშვნელოვნად იზრდება წლიდან წლამდე, მაშინ როცა ჯანდაცვის ხარისხი სახელმწიფოს მიერ გაწეულ ფინანსურ ხარჯს არ შეესაბამება.

საბოლოოდ, ქვეყანას ჰყავს 280 000 იძულებით გადაადგილებული პირი, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთიდან. იძულებით გადაადგილებული პირებს უფლება აქვთ მიიღონ სახელმწიფო სარგებელი, და საცხოვრებელი, რაც გამოიხატება იმით რომ ბევრი ოჯახი განთავსდა ყოფილ საჯარო შენობებში. ამასთანავე, 53 000 ოჯახს ჯერ კიდევ არ მიუღია სახელმწიფოს მიერ საცხოვრებელი და 10 000 მათგანი ცხოვრობს უკიდურესად მძიმე პირობებში. იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა არის უკიდურესად შერეული, მაგრამ სარგებლის კანონიერი ხასიათი გულისხმობს, რომ ყველაზე მოწყვლადი ოჯახები არ არიან სათანადოდ მხარდაჭერილები.

პროექტის მიზანი და შინაარსი

პროგრამის მიზანია გააძლიეროს საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა. შედეგმა სამი ნაწილისგან:

- ნაწილი 1. სოციალური მხარდაჭერისა და სოლიდარობის სისტემის განვითარება: ამ ნაწილის ძირითადი სამიზნეა მოსახლეობის ის კატეგორიები, რომლებიც არიან მოწყვლადი და რომლების ამჟამინდელი სოციალური მხარდაჭერის სისტემის მიერ ყველაზე ნაკლებად არიან უზრუნველყოფილი (უნარშეზღუდული პირები, ქუჩის ბავშვები და მძიმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები).
- ნაწილი 2. ჯანდაცვის სისტემისა და ჯანდაცვის თანაბარი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება: მოიცავს საყოველთაო ჯანდაცვის სისტემისთვის სტრატეგიული შესყიდვის გეგმის ეტაპობრივი დანერგვის მხარდაჭერას რომელიც პაციენტს დაეხმარება ხარჯების შემცირებაში და მზრუნველობის ხარისხის გაუმჯობესებაში. პროგრამა ასევე ფოკუსირებულია ფსიქიკური დაავადებების მკურნალობაზე ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი მომსახურების მოდერნიზების მხარდაჭერით. 2020 წლის მატრიცას დაემატა COVID-19-თან დაკავშირებით ახალი სპეციალური ღონისძიებები, საერთაშორისო ჯანდაცვის რეგულაციების შესაბამისად.
- ნაწილი 3. იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სარგებლის მიღების სისტემის რეფორმის მომზადება და იმ ოჯახების საცხოვრებლად განთავსება, რომლებიც ცხოვრობენ ანტისანიტარულ

საერთო საცხოვრებელში: პროგრამა დაეხმარება (i) საკანონმდებლო სისტემის რეფორმის მოსამზადებლად საკომუნიკაციო და საკონსულტაციო სამუშაოებს, იმისთვის რომ მიღწეულ იქნეს საჭიროებაზე დაფუძნებული მიდგომა, (ii) ოჯახებს საცხოვრებლად განთავსებას, რომლებიც ცხოვრობენ ანტისანიტარულ საერთო საცხოვრებელში და (iii) ღონისძიებების გატარება მოწყვლადი ოჯახების დასახმარებლად, რომლებიც არიან დაკარგავენ უფლებას მიიღონ სარგებელი (საშუალო ფენის მოსახლეობა).

მონაწილეები და პროცედურა

AFD დაეხმარება საქართველოს, წარმოდგენილს ფინანსთა სამინისტროთი პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხით. ეს არის სამწლიანი პროგრამის მესამე და ბოლო ნაწილი, რომელიც ამოქმედებს ხემათხსენებულ პროგრამის სამ ნაწილს, რომელსაც მოიცავს საჯარო პოლიტიკის ერთი მატრიცის ფარგლებში.

AFD ასევე უზრუნველყოფს საქართველოს ტექნიკური დახმარებით და კოორდინირებული იქნება საფრანგეთის საექსპერტო სააგენტოს მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სასარგებლოდ.

ხარჯები და დაფინანსება

პროგრამამ მიიღო პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხის ფორმა, 2018 და 2019 წელს 35 მილიონი ევროს, ხოლო 2020 წელს 70 მილიონი ევროს დაფინანსებით AFD-ს მხრიდან.

500 000 ევროს ოდენობის სუბსიდია ტექნიკური ექსპერტიზისა და გამოცდილების გაზიარების ფონდისგან (FEXTE) დამტკიცებულ იქნა ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამისთვის, რომელიც განხორციელდება 2018 წელს. იგივე ოდენობის მეორე სუბსიდია მოწოდებული იქნა 2019 წელს სამწლიანი პროგრამის მხარდასაჭერად.

მთავარი მოსალოდნელი შედეგები

პროგრამის მთავარი მოსალოდნელი შედეგებია:

- უკიდურესად მოწყვლადი ჯგუფებისთვის სოციალური მხარდაჭერისა და სოლიდარობის სისტემის გაძლიერება;
- მეტი თანაბარი წვდომა ხარისხიან ჯანდაცვაზე, განსაკუთრებით ფსიქიკური დაავადებების მქონე პირებისთვის;
- მოწყვლადი იძულებით გადაადგილებულ პირთათვის უკეთესი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა და მათი უკეთესად გათვითცნობიერება მოსალოდნელი რეფორმის საკანონმდებლო სარგებლის შესახებ.